

# ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი




*სახელმწიფო საწარმოები, PPP პროექტები, სტიქიური მოვლენები*


2020 წელი, ნოემბერი

# სახელმწიფო საწარმოთა ზოგადი მიმოხილვა დარგების მიხედვით


2019 წლის აქტივები - 14 მლრდ ლარი




2019 წლის კაპიტალი - 6 მლრდ ლარი




2019 ვალდებულებები - 8 მლრდ ლარი




საოპერაციო შემოსავალი (მლნ ლარი)




საოპერაციო მოგება (ათასი ლარი)




წმინდა მოგება/ზარალი (მლნ ლარი)




წლიური ბრუნვა (მლნ ლარი)




დასაქმებულთა რიცხოვნობა



ROE



ვალდებულებები/აქტივები



## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| შეჯამება   | 5  |
| სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე   | 6  |
| სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)  | 7  |
| ძირითადი საწარმოების პროფილები:  | 9  |
| სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება   | 19 |
| სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები  | 20 |
| სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის  | 21 |
| არაფინანსური ტრანსფერები   | 21 |
| მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ | 24 |
| კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:   | 25 |
| არაკომერციული მომსახურებები (NCSO)   | 26 |
| არსებული პრაქტიკები  | 27 |
| კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე  | 27 |
| სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა   | 29 |
| კოვიდ 19-ის გავლენა საწარმოებზე  | 34 |
| სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები  | 35 |
| 1. სს საპარტნიორო ფონდი  | 35 |
| 1.1. სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა  | 37 |
| 1.1.1. შპს ენერგოტრანსი  | 39 |
| 1.2. სს საქართველოს რკინიგზა   | 40 |
| 1.3. სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია  | 42 |
| 1.4. სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი  | 44 |
| 2. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია  | 46 |
| 3. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო  | 47 |
| 4. შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია  | 48 |
| 5. სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი   | 50 |
| 6. შპს ენგურჰესი   | 51 |
| 7. შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია  | 53 |
| 8. შპს საქართველოს ფოსტა   | 54 |
| 9. შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა   | 56 |

|   |     |
|---|-----|
| სახელმწიფო საწარმოების ვალის მართვის პოლიტიკა                                     | 22  |
| სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი  | 58  |
| შესავალი  | 58  |
| სენსიტიურობის ანალიზის მიზნები  | 58  |
| ეკონომიკური სცენარები   | 58  |
| ანალიზის შედეგები   | 61  |
| საბაზისო სცენარის პროგნოზები  | 61  |
| დაბალი ზრდის სცენარი  | 62  |
| გაცვლითი კურსის შოკის სცენარი   | 63  |
| საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი   | 65  |
| კომბინირებული შოკის სცენარი   | 67  |
| ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარი                                   | 68  |
| დასკვნები   | 70  |
| სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა  | 71  |
| რა შედეგებს უნდა ველოდოთ რეფორმისგან?   | 71  |
| სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის კონცეფცია   | 71  |
| კორპორაციული მართვის არსებული პრაქტიკები სახელმწიფო საწარმოებში                   | 73  |
| დასკვნა   | 79  |
| ენერგეტიკის სექტორში მოქმედი სახელმწიფო საწარმოები                                | 80  |
| სექტორიზაციის გავლენა   | 113 |
| საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება | 114 |
| ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები                             | 114 |
| PPP ვალდებულებების შეფასება   | 121 |
| სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე რისკები   | 123 |
| დანართები   | 125 |

## შეჯამება

2020 წელს საქართველო, როგორც დანარჩენი მსოფლიო, სრულიად მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის წინაშე. აღნიშნულმა კიდევ ერთხელ ცხადყო ფისკალური რისკების დროული იდენტიფიცირების, რისკების რეალიზების შედეგად დამდგარი ნეგატიური ეფექტის მინიმიზაციის ან/და თავიდან აცილების მექანიზმების არსებობის საჭიროება.

ფისკალური რისკების ანალიზმა ცხადყო, რომ მაკროეკონომიკური რისკების შემდეგ სახელმწიფო საწარმოები და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები კვლავაც რჩებიან ფისკალური რისკების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ქვეყნისთვის.

2014-2018 წლებში სახელმწიფო საწარმოებში განხორციელდა 1.3 მლრდ ლარის ოდენობით კაპიტალშენატანი, პროპორციული ზრდის ნაცვლად საწარმოთა კაპიტალი შემცირდა დაახლოებით 0.7 მლრდ ლარით, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო საწარმოთა მასშტაბური ზარალით. 2019 წელს სახელმწიფო საწარმოთა ზარალმა შეადგინა 237 მლნ ლარი, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო - 816 მლნ ლარი.

მიუხედავად დრამატული გაუმჯობესებისა, აღნიშნული არ წარმოადგენს ოპტიმიზმის საფუძველს. 2017-2018 წლებში რამდენიმე მსხვილ საწარმოში აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა დიდი ოდენობით ზარალი, რაც შესაბამისად ერთჯერადად აისახა ფინანსურ ანგარიშგებებში. რაც შეეხება 2019 წელს, მივიღეთ გაუფასურებების შემდეგ დამდგარი რეალური შედეგი, აღნიშნულს თუ შევადარებთ სხვა ქვეყნებს, ვნახავთ, რომ მივეკუთვნებით იმ ქვეყანათა ტიპურ მაჩვენებლებს, რომელთაც ამ ეტაპისთვის არ აქვთ განხორციელებული სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა.

ამ ეტაპზე რთულია ვთქვათ გაგრძელება თუარა საწარმოთა აქტივების გაუფასურება პანდემიის გამო. თუმცა, ფაქტია, რომ პანდემიამ პირდაპირ ან ირიბად მნიშვნელოვნად დააზარალა სექტორი, 2020-2021 წლებისთვის პორტფელის გაჯანსაღება საწარმოთა სტატუს კვოს შენარჩუნების შემთხვევაში მოსალოდნელი არ არის.

სავარაუდოდ, პანდემიის დასრულების შემდეგ რიგ სექტორებში შენარჩუნდება გარკვეული ნეგატიური სენტიმენტები, რომელიც შეაფერხებს სხვადასხვა დარგში ზრდის ტემპების პანდემიამდელ ნიშნულზე დაბრუნებას. ეს კი გულისხმობს აქტივების შემდგომ გაუფასურებას, მაგრამ არა იმ მასშტაბით როგორც იყო 2018 წელს.

იმისათვის, რომ სწრაფად გაჯანსაღდეს სექტორი, აუცილებელია და კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეს პერიოდი გამოყენებულ იქნას სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განსახორციელებლად. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. დაიწყო მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის შემუშავებაზე.

რაც შეეხება საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებს, 2020 წელს სრულად შეიზღუდა ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის (PPA) ხელშეკრულებების გაფორმება. ნაცვლად ამისა, ინვესტორებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ე.წ. “მწვანე ტარიფი” ყოველ რეალიზებულ კილოვატ-საათზე. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება გამოწვევად არსებული PPA პროექტებიდან მომდინარე პოტენციური ფისკალური წნეხი.

## სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე

- 2019 წლის ბოლოს განისაზღვრა სახელმწიფო საწარმოთა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ) განსაზღვრის კრიტერიუმები (მთავრობის დადგენილება N584, 29.11.2019). ამავე წელს 47 საწარმოს მიენიჭა სდპ-ს სტატუსი. აღნიშნული დამატებით გამჭვირვალობის სტანდარტს დაუდგენს სახელმწიფო საწარმოებს და გაზრდის მათ ანგარიშვალდებულების ხარისხს;
- 2020 წლის აპრილის თვეში დასრულდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის პროცესი - მათი მიკუთვნება სახელმწიფო კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორებზე. საქართველო პირველია ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც სრულყოფილად განახორციელა სექტორიზაცია. აღნიშნულმა გამჭვირვალედ გამოაჩინა ყველა ის საწარმო, რომელიც არაკომერციულია და მუდმივად დამოკიდებულია სუბსიდიებსა და სხვა სახის შენატანებზე, ასევე გამოიყო საწარმოები, რომლებიც სრულად კომერციულები არიან ან გააჩნიათ პოტენციური იქცნენ კომერციულ საწარმოებად. სულ 52 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო სამთავრობო სექტორს - 183 საწარმო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2020 წლის მეორე კვარტილიდან დაიწყო და გრძელდება მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმაზე. რეფორმა ძირითადად მოიაზრებს სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვას OECD-ს მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე და სხვა საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით. ამ პროცესში ფინანსთა სამინისტროს მხარს უჭერენ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები.
- 2019 წელს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 50/50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, დღით ადრე და შემდგომში დღიური ორგანიზებული ბაზრების ფორმირებისა და ბაზრის ოპერატორად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ღონისძიებების მომზადება, ორგანიზება და კოორდინაცია;
- შეიზღუდა სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ ფინანსური და არაფინანსური აქტივების შესყიდვა, გარდა თანხის დეპოზიტებზე განთავსებისა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საპარტნიორო ფონდი აღარ განახორციელებს ახალ პროექტებს და არ გაზრდის თავის სასესხო ვალდებულებებს. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება საპარტნიორო ფონდის რეფორმირებამდე.
- „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით განხორციელდა ინვესტიცია ქ.გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის. „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მშენებლობა დასრულდა 2019 წლის დეკემბერში. თბოსადგურმა ოპერირება დაიწყო 2020 წლის მარტში. თბოსადგური მაღალი ეფექტიანობითა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიით გამორჩეული ობიექტია, რომელიც 180 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიციით აშენდა. განხორციელებულ პროექტს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია ქართული ენერგეტიკული სისტემისა და მთლიანად სექტორის მდგრადობისა და მისი წარმატებული განვითარებისთვის.
- 2020 წლის 29 ივლისს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის შეთანხმება გაფორმდა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით, 90 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას ითვალისწინებს. საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტის ფარგლებში აშენდება 150 კმ-ზე მეტი ახალი გადამცემი ქსელი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. პროექტს

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განახორციელებს და მისი დასრულება 2026 წლის ზაფხულში იგეგმება.

## სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 92%-ს (წლიური ბრუნვის მიხედვით).

სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები. ასეთ საწარმოებად განხილულია:

- ა) ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო;
- ბ) მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც სახელმწიფოს წილი 25%-ზე მეტია და რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.

საწარმოების აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ფინანსური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ამ საწარმოთათვის შეიქმნა 2019 წლის ფინანსური მონაცემების ბაზა.

ზემოთ მითითებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ფისკალური რისკების ანალიზისთვის წარმოდგენილია 352 სახელმწიფო საწარმო, 179 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 173 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ასევე, ჩამოთვლილ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 82 შვილობილი საწარმო.

ფინანსურ მონაცემების კონსოლიდების შედეგად ანალიზი ეყრდნობა 352 სახელმწიფო საწარმოს მონაცემებს, ხოლო 82 შვილობილი კომპანიის მონაცემები დამატებითი ინფორმაციის სახით არის წარმოდგენილი.

ცხრილი 1

|   |            |
|---|------------|
| <b>სახელმწიფო საწარმოთა ჯამური რიცხვი</b>                               | <b>352</b> |
| მათ შორის:  |            |
| <b>ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია</b>                            | <b>173</b> |
| <b>ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია</b><br>მათ შორის:               | <b>179</b> |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების<br>სამინისტროს მართვაში | 129        |
| შექმნილი საპარტნიორო ფონდის წილობრივი<br>მონაწილეობით                   | 31         |

|  |   |
|--|---|
| საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში          | 5 |
| იურიდიული პირების მართვაში   | 5 |
| საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში                                     | 3 |
| საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში     | 2 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მართვაში                                     | 1 |
| საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მართვაში | 2 |
| სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინვესტიციო ფონდი                                   | 1 |

მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებიდან 61 კომპანია არის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში და მათი წილი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების მთლიანი ბრუნვის 94 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მუნიციპალური საწარმოების მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

|                          | საწარმოთა რაოდენობა | წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების რაოდენობაში | წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა რაოდენობაში | 2019 ერთობლივი შემოსავალი (ათასი ლარი) | წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების რაოდენობაში | წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა რაოდენობაში |
|--------------------------|---------------------|--|--|--|--|--|
| <b>სულ</b>               | <b>352</b>          |  |  | <b>3 176 499</b>                       |  |  |
| მათ შორის:               |                     |  |  |  |  |  |
| <b>მუნიციპალიტეტები</b>  | <b>173</b>          | <b>49%</b>   |  | <b>323 459</b>                         |  | <b>10,2%</b>   |
| თბილისის მუნიციპალიტეტი  | 26                  | 7%   | 15%  | 259 622                                | 8,2%   | 80,3%  |
| ბათუმის მუნიციპალიტეტი   | 35                  | 10%  | 20%  | 43 881                                 | 1,4%   | 13,6%  |
| ქუთაისის მუნიციპალიტეტი  | 11                  | 3%   | 6%   | 15 28                                  | 0,0%   | 0,5%   |
| თელავის მუნიციპალიტეტი   | 4                   | 1%   | 2%   | 1 829                                  | 0,1%   | 0,6%   |
| გორის მუნიციპალიტეტი     | 3                   | 1%   | 2%   | 24                                     | 0,0%   | 0,0%   |
| ფოთის მუნიციპალიტეტი     | 8                   | 2%   | 5%   | 71                                     | 0,0%   | 0,0%   |
| რუსთავის მუნიციპალიტეტი  | 9                   | 3%   | 5%   | 2 297                                  | 0,1%   | 0,7%   |
| საჩხერის მუნიციპალიტეტი  | 6                   | 2%   | 3%   | 6 010                                  | 0,2%   | 1,9%   |
| ხობის მუნიციპალიტეტი     | 3                   | 1%   | 2%   | 34                                     | 0,0%   | 0,0%   |
| ანაქლაქის მუნიციპალიტეტი | 2                   | 1%   | 1%   | 49                                     | 0,0%   | 0,0%   |
| ანაკლიის მუნიციპალიტეტი  | 3                   | 1%   | 2%   | 1 772                                  | 0,1%   | 0,5%   |
| ახმეტის მუნიციპალიტეტი   | 2                   | 1%   | 1%   | 186                                    | 0,0%   | 0,1%   |
| ბოლნისის მუნიციპალიტეტი  | 8                   | 2%   | 5%   | 1 285                                  | 0,0%   | 0,4%   |
| მცხეთის მუნიციპალიტეტი   | 7                   | 2%   | 4%   | 2                                      | 0,0%   | 0,0%   |
| სხვა დანარჩენი           | 46                  | 13%  | 27%  | 4 823                                  | 0,2%   | 1,5%   |

ცხრილი 3 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ანალიზი სექტორების მიხედვით



| დარგი  | სულ<br>საწარმოს<br>რაოდენო<br>ბა | მათ შორის: |             | დარგობრივ<br>საწარმოთა წილი<br>მთლიან<br>რაოდენობაში |             | სულ<br>საწარმოთა<br>ერთობლივი<br>შემოსავალი<br>2019 (ათასი<br>ლარი) | მათ შორის:       |                | დარგობრივ<br>საწარმოთა წილი<br>მთლიან<br>ერთობლივ |             |
|--|----------------------------------|------------|-------------|--|-------------|---|------------------|----------------|---|-------------|
|  |                                  | ცენტრალური | ადგილობრივი | ცენტრალური   | ადგილობრივი |   | ცენტრალური       | ადგილობრივი    | ცენტრალური  | ადგილობრივი |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა   | 6                                | 6          | 0           | 3%   | 0%          | 27 151  | 27 151           | 0              | 1%  | 0%          |
| სამთამოპოვებითი მრეწველობა   | 2                                | 2          | 0           | 1%   | 0%          | 416   | 416              | 0              | 0%  | 0%          |
| დამამუშავებელი მრეწველობა  | 29                               | 18         | 11          | 10%  | 6%          | 148 283   | 129 917          | 18 366         | 5%  | 6%          |
| ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება                                 | 13                               | 9          | 4           | 5%   | 2%          | 1 636 758   | 1 630 745        | 6 013          | 57%   | 2%          |
| მშენებლობა   | 26                               | 17         | 9           | 9%   | 5%          | 26 956  | 26 476           | 480            | 1%  | 0%          |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 19                               | 14         | 5           | 8%   | 3%          | 212 609   | 212 054          | 555            | 7%  | 0%          |
| სასტუმროები და რესტორნები  | 9                                | 8          | 1           | 4%   | 1%          | 52 055  | 52 020           | 34             | 2%  | 0%          |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა  | 23                               | 8          | 15          | 4%   | 9%          | 876 258   | 698 116          | 178 142        | 24%   | 55%         |
| საფინანსო საქმიანობა   | 11                               | 11         | 0           | 6%   | 0%          | 389   | 389              | 0              | 0%  | 0%          |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა              | 59                               | 32         | 27          | 18%  | 16%         | 53 708  | 38 595           | 15 113         | 1%  | 5%          |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება  | 85                               | 43         | 42          | 24%  | 24%         | 32 462  | 27 306           | 5 156          | 1%  | 2%          |
| კომუნალური, სოციალური და ტრანსპორტი მომსახურების გაწევა                                | 70                               | 11         | 59          | 6%   | 34%         | 109 454   | 9 854            | 99 601         | 0%  | 31%         |
| <b>სულ</b>   | <b>352</b>                       | <b>179</b> | <b>173</b>  |  |             | <b>3 176 499</b>  | <b>2 853 039</b> | <b>323 459</b> |   |             |

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ლიდერობს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოთა რაოდენობა (352 საწარმოთა რეესტიდან - 85 საწარმო, აქედან 42 ადგილობრივი). ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოები ლიდერობენ რაოდენობრივად, თუმცა მათი ჯამური ერთობლივი შემოსავლის წილი საწარმოთა მთლიან ერთობლივ შემოსავალში მერყეობს 1-2%-ის ფარგლებში.

ამასთან, საქსტატის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს მასშტაბით, ჯანდაცვის დარგში 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დარეგისტრირებულ სუბიექტთა 54% არააქტიურია, რაც ნიშნავს რომ კომპანიის საქმიანობა შეჩერებულია ან მას არ უფიქსირდება ბრუნვა.

## ძირითადი საწარმოების პროფილები<sup>1</sup>:

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“



სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც თავის მხრივ სრულად სახელმწიფო საკუთრებაშია).

<sup>1</sup> 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საბითუმო ვაჭრობა ბუნებრივი აირით

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: [ვაჟა ხიდაშელი](#)

გენერალური დირექტორი: [გიორგი ბახტაძე](#)

4 შვილობილი კომპანია:

- შპს „გარდაბნის თბოსადგური“;
- შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“;
- შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“;
- GOGC Trading S.A.

**ძირითადი საქმიანობა:** ბუნებრივი გაზი (ბუნებრივი გაზის იმპორტი და შემდგომი საბითუმო რეალიზაცია ელექტროგენერაციის ობიექტებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გაცემული მილსადენების იჯარა); ელექტროენერგია (შედარებით ახალი მიმართულება - ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება ქ. გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის მეშვეობით. წარმოებული ელექტროენერგია უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება გამანაწილებელ კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდიან საცალო მომხმარებელს); ნავთობი (საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილის რეალიზაცია, ასევე, ხპ-ზე ფინანსური ლიზინგით გაცემული ნავთობსადენის იჯარა).

სს „საქართველოს რკინიგზა“



**სახელმწიფოს წილი:** 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც თავის მხრივ სრულად სახელმწიფო საკუთრებაშია).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: [კონსტანტინე გუნცაძე](#)

გენერალური დირექტორი: [დავით ფერაძე](#)

7 შვილობილი კომპანია:

- შპს „ჯიარ ქონების მართვა“;
- შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“;
- სს „საქართველოს რკინიგზის მშენებლობა“;
- შპს „Georgia Transit“;
- შპს „ჯიარ სატრანზიტო ხაზი“;
- შპს „GR Trans Shipment“;
- შპს „ჯიარ ტრანზიტო“.

**ძირითადი საქმიანობა:** სატვირთო გადაზიდვა (მათ შორის, სატვირთო ვაგონების გაქირავება); მგზავრთა გადაყვანა; ინფრასტრუქტურა (ლიანდაგების, ჯებირების, სარკინიგზო სიგნალიზაციის, ელექტროხაზების და სხვა აღჭურვილობის შენარჩუნება და მართვა, ასევე, სარკინიგზო ხაზების მშენებლობა).

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის გადაცემა

რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე: [უჩა უჩანეიშვილი](#)

3 შვილობილი კომპანია:

- შპს „ენერგოტრანსი“<sup>2</sup>;
- სს „ქარჩალ ენერჯი“;
- სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“.

**ძირითადი საქმიანობა:** ელექტროენერჯის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია (ერთადერთი ლიცენზიანტი); სსე ახორციელებს სისტემის ტექნიკურ მართვას ელექტროენერჯის მიწოდება-მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად და ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე, გადასცემს საქართველოში წარმოებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერჯიას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, პირდაპირ მომხმარებლებს ან მეზობელი ქვეყნების ელექტროსისტემებს. ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო და შიდა ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობას.

შპს „ენერგოტრანსი“



სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის გადაცემა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ჯემალ ახალაია

**ძირითადი საქმიანობა:** ელექტროენერჯის გადაცემა. მათ შორის ელექტროენერჯის ექსპორტი და ტრანზიტ. შპს „ენერგოტრანსი“ ფლობს: 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებს „ვარძია-ზეკარი“, 400 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს „მესხეთი“ და 500/400/220 კვ ქვესადგურ ახალციხეს.

შპს „ენერგოტრანსის“ მფლობელობაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 290 კმ-ია, რაც მოიცავს საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიასა და სამხრეთის მხრიდან ერთმანეთთან აკავშირებს „გარდაბანი 500-ის“ და „დიდი ზესტაფონის“ ქვესადგურებს ახალციხის 500/400/220 კვ ქვესადგურის (აღნიშნული სადგური არის შპს „ენერგოტრანსის“ საკუთრებაში) გავლით. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ახალციხის ქვესადგური, 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „მესხეთი“ მეშვეობით უკავშირდება თურქეთის ქვესადგურ „ბორჩხას“. ახალციხის 500/400/220 კონვერტორული სადგური თავისი მნიშვნელობით უნიკალურია კავკასიის რეგიონში, რადგან პირველად აქ იქნა დამონტაჟებული მუდმივი დენის ჩანართი (HVDC).

<sup>2</sup> მიმდინარეობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და შპს „ენერგოტრანსის“ შერწყმა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მაისის განკარგულება N805

## სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსნერგო“



სახელმწიფოს წილი: 50% (დარჩენილი 50%-იანი წილის მფლობელია რუსეთის ფედერაცია, რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალური ქსელური კომპანიის“ მიერ).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის გადაცემა

გენერალური დირექტორი: [ბაჩანა სულაძე](#)

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერჯის გადაცემა საკუთარი მაღალმაზვიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიასა და მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. კომპანიის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კომპანიის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზები წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სინქრონიზებული ელექტროენერჯის მიწოდების ქსელს.

## შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება

დირექტორი: [გრიგოლ მანდარია](#)

ძირითადი საქმიანობა: წყლის მოპოვება, დამუშავება და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში აბონენტებისათვის სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდება; წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ოპერირება.

კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის, ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

## შპს „ენგურჰესი“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: კობა ჭუმბურიძე

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: ლევან მებონია

2 შვილობილი კომპანია:

- შპს „ვარდნილჰესების კასკადი“;
- შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“.

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერჯის წარმოება და რეალიზაცია. მისი წილი ქვეყნის საერთო ელექტრომომარაგების 35%-ზე მეტს შეადგენს. კომპანია პასუხისმგებელია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ვარდნილჰესების კასკადისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კოდორის ხეობაში, მდებარე რამდენიმე მცირე ჰესის ფუნქციონირებაზე.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო)



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერჯის განაწილება

გენერალური დირექტორი: ზაზა დვალიშვილი

ძირითადი საქმიანობა: საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა (ახორციელებს თბოელექტროსადგურებიდან გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვას, რეალიზაციას და შესაბამის გადახდებს) და ელექტროენერჯის იმპორტი/ექსპორტი. ძირითადი საქმიანობები განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“.

კომპანია საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მოქმედებს როგორც პირდაპირი მყიდველი (არა როგორც აგენტი) და ვალდებულია საბალანსო ელექტროენერჯის გამყიდველებისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების სასარგებლოდ განახორციელოს გადახდები, იმის მიუხედავად, მომხმარებლებისგან მიიღო თუ არა გაყიდული საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასური.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ტრანსპორტირება მილსადენებით

გენერალური დირექტორი: [მიხეილ შალამბერიძე](#)

**ძირითადი საქმიანობა:** ერთადერთი ლიცენზირებული კომპანია, ლიცენზიის მუდმივი ვადით (ლიცენზია გაცა 2009 წელს), რაც ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების განხორციელების უფლებას. კომპანია მართავს საქართველოს ტერიტორიაზე მთავარ მაგისტრალურ გაზსადენ სისტემას და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, რომელიც სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მფლობელობაშია და კომპანიას იჯარით აქვს აღებული (ოპერირებისა და შენახვის ვალდებულებით).

კომპანიის ძირითადი შემოსავალი, რომელსაც ის იღებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენის სისტემის გამოყენებისაგან, შედგება შემდეგი საქმიანობისაგან: ბუნებრივი აირის ტრანზიტით (რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის რესპუბლიკაში); ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება (საქართველოს მასშტაბით, ძირითადად დისტრიბუციის კომპანიებისათვის, სამრეწველო საწარმოებსა და თბოელექტროსადგურებისათვის); გაზის რეალიზაცია (სხვა მომხმარებლებზე საქართველოში ეფუძნება ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს მხარეებს შორის).

### შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“



**სახელმწიფოს წილი:** 100%

**ეკონომიკური საქმიანობის დასახელება:** მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა

**დირექტორი:** ლევან კანკავა

**ძირითადი საქმიანობა:** საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მარაბდა - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) პროექტის რეალიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სარკინიგზო ქსელებს.

პროექტი ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროსგან შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ გამოყოფილი აქვს საკრედიტო ხაზი 775 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დანიშნულებაც პროექტის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის დასრულებამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზების მიერ შეიქმნება „ერთობლივი საწარმო“, რომელზეც მოხდება სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვაში გადაცემა (შპს „მარაბდა-კარწახი“ დარჩება ქონების მესაკუთრედ), სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შემოსავლების მიღება და სესხის დაფარვის ვალდებულება გადავა „ერთობლივ საწარმოზე“.

### შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: გზების და ავტობანების მშენებლობა

დირექტორი: მალვა მავიშვილი

ძირითადი საქმიანობა: სხვადასხვა ტიპის სამშენებლო პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების, ხიდების, გვირაბების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება; სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება, მათი იმპორტირება-ექპორტირება და რეალიზაცია; კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის გამოყენება და მისი დროებით სარგებლობაში გადაცემა.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“



სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების რემონტი, დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში

გენერალური დირექტორი: შოთა ჯოგლიძე

1 შვილობილი კომპანია: შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“

ძირითადი საქმიანობა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და ფერმერთა ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში; ნიადაგის თესვისწინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარება.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მიწათმოსარგებლებს სთავაზობს მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში: პესტიციდების, ჯიშისანი და მაღალხარისხის თესლეულის, ახალი ტექნოლოგიების და ახალი კულტურების დანერგვის შესახებ. კომპანიას აქვს შესაძლებლობა აგროვადებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოემსახუროს მიწათმოსარგებლებს, დროულად და ხარისხიანად ჩაატაროს საგაზაფხულო, საშემოდგომო და მზრალად ხვნების სამუშაოები, ასევე თესვის, ჰერბიციდებით ნათესების დამუშავების, კულტივაციის, ფარცხვის, მინერალური სასუქების შეტანის და რაც მთავარია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების სამუშაოები.

სს „საპარტნიორო ფონდი“



სახელმწიფოს წილი: 100%

**ეკონომიკური საქმიანობის დასახელება:** საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:** საქართველოს პრემიერ-მინისტრი

**აღმასრულებელი დირექტორი:** [დავით საგანელიძე](#)

### 32 შვილობილი კომპანია: <sup>3</sup>

- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „საქართველოს რკინიგზა“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“;
- სს „ნენსკრა“;
- შპს „პროექტი“;
- შპს „თბილისის ლოჯისტიკის ცენტრი“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- შპს „შავი ზღვის პორტი“;
- შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“;
- სს „Panex“;
- სს „თელასი“;
- შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „Aerostructure Technologies Cyclone“;
- სს „Vanric Agro“;
- შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“;
- შპს „სტარტაპ საქართველო“;
- შპს „იმერეთი გრინერი“;
- შებენიერი პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“;
- შპს „საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარების კომპანია“;
- შპს „ლიკანი რეზიდენსი“;
- შპს „Global Brand“;
- შპს „ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორობის კომპანია“;
- შპს „წინანდალი ისთეისი“;
- Gazelle Fund LP;
- შპს „იტონგ კავკასუს“;
- საპარტნიორო ფონდი - შპს „გრინ დეველოპმენტი“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- შპს „East West Bridge“;
- სს „ნენსკრა ჰიდრო“;
- შპს „Caucasian SUS Heritage“;
- შპს „KMG Service Georgia“ და მისი შვილობილი კომპანია;
- შპს „ქართული ბუნებრივი პროდუქტები“;
- Peace Fund for Better Future NCLE.

**ძირითადი საქმიანობა:** სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

საქმიანობა ხორციელდება ორი მიმართულებით: აქტივების მართვა (აქტივების პორტფელი შედგება სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან: სს „საქართველოს რკინიგზა“; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“) და საინვესტიციო საქმიანობა (ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია

<sup>3</sup> საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით კი საპარტნიორო ფონდის წილი თელასში პრივატიზებულია.



მხოლოდ საქართველოში, მისი სტრატეგიაა კერძო ინვესტიორების მოზიდვა და კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით (მაგ., ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა).

### შპს „საქართველოს ფოსტა“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფოსტო საქმიანობები საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით

გენერალური დირექტორი: ლევან ჩიკვაძე

2 შვილობილი კომპანია:

- Georgian post (Greece) I.K.E.;
- Georgian post (ჩეხეთი).

**ძირითადი საქმიანობა:** შპს „საქართველოს ფოსტა“ მსოფლიოს 190-ზე მეტ ქვეყანასთან წარმატებით თანამშრომლობს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 80-ზე მეტი სერვის ცენტრი.

შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლებს უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით, კერძოდ, ახორციელებს: საფოსტო გზავნილთა (წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი, EMS გზავნილი, ავია გზავნილი) მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ჩაბარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ; კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას; ფულადი გზავნილების მომსახურებას.

### შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“



სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია თბილისის მერია)

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი

გენერალური დირექტორი: გიორგი შარკოვი

2 შვილობილი კომპანია:

- სს „ელექტრომობილური შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“;
- სს „რემონტაჟსერვისი“

**ძირითადი საქმიანობა:** ქ. თბილისში ავტობუსით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით მომსახურება, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა.

რეგულირებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მომსახურების ფასები დადგენილია თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით. მოქალაქეთა განსაზღვრული ჯგუფისთვის განსაზღვრულია უფასო მგზავრობა მიწისქვეშა მეტროსა და ავტობუსის რეგულარულ რეისებზე თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ან ფასდაკლებული გადასახადი პლასტიკური ბარათით ერთხელ გადახდის შემთხვევაში.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად გენერირებულია მგზავრობა მიერ გადახდილი მგზავრობის საფასურიდან.

კომპანია მართავს, ორგანიზებასა და ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის პარკინგის სივრცეებს უზრუნველყოფს საგზაო ნიშნების განთავსებას/დახატვას, თბილისის მიერ დადგენილი პარკინგის ადგილების მონიშვნას, უზრუნველყოფს პარკირების წესების დარღვევის გამოვლენას, პარკინგის ნებართვებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შედგენას, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ახდენს სატრანსპორტო საშუალების გადატანას გამოყოფილ დაცულ ტერიტორიაზე.

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში

დირექტორი: [გიორგი ჩიქოვანი](#)

14 შვილობილი კომპანია:<sup>4</sup>

- სს „ნამახვანი“;
- სს „გეოჰიდრო“;
- შპს „ართანა ლოპოტა“;
- შპს „ყვირილა ჰესი“;
- შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“;
- შპს „ახალსოფელი ჰესი“;
- სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“;
- შპს „ენგურის ტურისტული ცენტრი“;
- შპს „ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური“;
- შპს „საქართველოს მზის კომპანია“;
- შპს „ბორჯომჰესი“;
- შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“;
- შპს „ჩორდულა ჰესი“;
- შპს „რუისის ქარის ელექტროსადგური“.

ძირითადი საქმიანობა: ენერჯეტიკის სფეროში წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ენერჯეტიკული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ანგარიშის მომზადება, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ჩატარებული კვლევების შედეგად იწერება ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ფონდი ახორციელებს შემდეგნაირად: მოიზიდავს ინვესტორს, რომელთან ერთადაც დააფუძნებს საწარმოს (ან 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნებს თვითონ) და აღნიშნული საწარმო ახორციელებს ელექტროსადგურის პროექტს, მაგ., ქარის ელექტროსადგური გორში, სადაც ფონდი ფლობს 50.1% წილს დარჩენილი 49.9% ეკუთვნის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“. საწარმოში სს „საქართველოს

<sup>4</sup> 2019 წლის მდგომარეობით

ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ წილი განისაზღვრება პროექტის ღირებულებითა და ასევე ფულადი შენატანების პროპორციულად.

## სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

ცხრილი 4 სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული სახსრები და მიღებული დივიდენდები

| დასახელება           | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|----------------------|-----------|-----------|-----------|
| კაპიტალური ტრანსფერი | 143,0     |           |           |
| სესხი                |           |           |           |
| სუბსიდია             | 25,0      | 82,9      | 67,2      |
| დივიდენდი (ფაქტი)    | -0,4      |           | -0,3      |
| წმინდა ფულადი ნაკადი | 167,6     | 82,9      | 66,9      |

ცხრილი 5 2019-2020 წწ სუბსიდია სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

| საწარმოს დასახელება  | სუბსიდია      |               |
|--|---------------|---------------|
|  | 2019          | 2020          |
| შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია     | 27 550        | 30 000        |
| შპს ადამ ბერიძის სახ. ნიად. და სურს. დიაგნ ცენტრი ანასეული |               | 12            |
| შპს ბლექ სი არენა ჯორჯია                                   | 9 500         | 3 518         |
| შპს საქართველოს მელიორაცია                                 | 17 659        | 18 500        |
| შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია          | 12 000        | 13 800        |
| შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება                   | 5 864         | 1 350         |
| სს საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია                | 6             |               |
| შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია                  | 300           |               |
| შპს ვ. სანიკიძის სახ. ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი   | 558           |               |
| შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია                         | 9 200         |               |
| შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი                             | 230           |               |
| <b>სულ</b>   | <b>82 868</b> | <b>67 180</b> |

ცხრილი 6 სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხებული თანხები (მლნ) (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

| კომპანია/<br>ორგანიზაცია | ვალუტა | შეთანხმებული თანხა | ათვისებული თანხა | ძირითადი ვალის გადახდილი ნაწილი | დარიცხული პროცენტის გადახდილი ნაწილი | ვალის ნაშთი | ვალის ნაშთი ლარში |
|--------------------------|--------|--------------------|------------------|---------------------------------|--------------------------------------|-------------|-------------------|
|--------------------------|--------|--------------------|------------------|---------------------------------|--------------------------------------|-------------|-------------------|

|  |     |       |       |      |      |       |               |
|--|-----|-------|-------|------|------|-------|---------------|
| სს სახელმწიფო ელექტროსისტემა                           | EUR | 287,5 | 96,8  | 38,4 | 12,6 | 57,7  | 185,1         |
|  | SDR | 31,0  | 31,0  | 0,0  | 1,2  | 31,0  | 122,9         |
|  | USD | 95,9  | 85,4  | 30,7 | 23,7 | 54,7  | 156,8         |
| შპს ენგურჰესი  | EUR | 69,0  | 47,2  | 1,3  | 1,4  | 46,0  | 147,5         |
|  | GEL | 37,0  | 37,0  | 0,0  | 3,1  | 37,0  | 37,0          |
| შპს ენერგოტრანსი                                       | EUR | 218,5 | 218,5 | 44,9 | 22,3 | 173,6 | 557,2         |
| შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | EUR | 186,6 | 78,2  | 10,7 | 4,2  | 67,5  | 216,7         |
|  | SDR | 161,8 | 128,7 | 8,5  | 0,0  | 120,3 | 476,9         |
|  | USD | 250,0 | 100,1 | 0,0  | 0,0  | 100,1 | 287,2         |
| შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია      | EUR | 55,4  | 4,1   | 2,5  | 1,1  | 1,5   | 4,9           |
| შპს საქართველოს საქარონავიგაცია                        | EUR | 4,7   | 4,7   | 1,7  | 0,5  | 3,0   | 9,5           |
| <b>სულ</b>   |     |       |       |      |      |       | <b>2201,6</b> |

## სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №174 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისია განიხილავს სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების საკითხს. აღნიშნულის თაობაზე წინადადებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარ უგზავნის შესაბამისი უწყება, მის მართვაში მოქმედ საწარმოსთან შეთანხმებით. ხოლო წარმოდგენილი წინადადებების განხილვა ხდება ზემოთ აღნიშნული კომისიის სხდომაზე. კომისია წარმოდგენილი, დასაბუთებული წინადადების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დივიდენდი მთლიანად/ნაწილობრივ მიმართოს ბიუჯეტში, თუ დაუტოვოს კომპანიას განვითარებისათვის.

ამასთან, სახელმწიფო საწარმოების ნაწილს საპარტნიორო ფონდი განკარგავს და მათგან მიღებულ დივიდენდებს ინვესტირებისთვის და სესხის მომსახურებისთვის დამოუკიდებლად იყენებს.

2020 წელს ჩატარდა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის ორი სხდომა, კერძოდ:

2020 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ სხდომაზე განხილულ იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ 2017-2018 წლების მოგების (1 307,8 ათასი ლარი) საწარმოს განკარგულებაში რეინვესტირებისთვის დატოვების თაობაზე. კომისიის მიერ მხედველობაში მიღებულ იქნა რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №1341 განკარგულება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“

სამედიცინო საქმიანობის შეუზღუდავად და უსაფრთხოდ განხორციელებისთვის პროფილური უძრავი ქონების შეძენის ან აშენების უზრუნველყოფის მიზნით, კაპიტალური ტრანსფერის სახით ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კომპანიის 2017-2018 წლების წმინდა მოგებიდან 300 ათასი ლარის საწარმოს განკარგულებაში დატოვება, რეინვესტირებისთვის, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელი სამკურნალო ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ხოლო საწარმოს 2017-2018 წლების წმინდა მოგების დარჩენილ ნაწილზე კომისია იმსჯელებს დამატებით.

2020 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2018-2019 წწ მოგების განაწილების თაობაზე (2018-2019 წწ კომპანიის მოგებამ შეადგინა 77 175 ათას ლარი, აქედან 2018 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 30 432 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს - 46 743 ათასი ლარი). მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კომპანიის 2018-2019 წლების წმინდა მოგებიდან 8 175 ათასი ლარის საწარმოს განკარგულებაში დატოვება, რეინვესტირებისთვის, ხოლო 69 მლნ ლარი მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში კუთვნილი თანხის ჩარიცხვა უზრუნველყოფილი იქნება 2020 წლის ბოლოსთვის.

## სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის

სახელმწიფო საწარმოებს შორის გადასესხება და მათ მიერ ერთობლივი სესხის აღება სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისათვის ქმნის მთავრობაზე რისკის გადატანის საშიშროებას. საქართველოში ასეთი სესხების პრაქტიკა არ არის გავრცელებული და 2019 წელს ასეთი ტიპის სესხება სახელმწიფო კომპანიებს შორის არ მომხდარა.

## არაფინანსური ტრანსფერები

ფინანსური ტრანსფერების გარდა, საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო საწარმოებს შორის ადგილი აქვს აქტივების ტრანსფერებსაც, მათ შორის გაზი, მიწა, დანადგარები, ინვენტარი და სხვა ფიქსირებული აქტივები. ასეთი ტრანსფერები ძირითადად იმ მიზნით ხორციელდება, რომ სახელმწიფო საწარმოები გახდნენ აქტივების მფლობელები და მათზე დაკისრებული ფუნქციები და პროექტები, სრულად და უკეთესად განახორციელონ. ეს არ იწვევს ფისკალურ რისკებს.

2019 წლისთვის საწარმოებისგან მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობითი არსებითი არაფინანსური ტრანსფერი არ იკვეთება.

## სახელმწიფო საწარმოების ვალის მართვის პოლიტიკა



ვალის მართვის პოლიტიკა სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. საწარმოების ვალდებულებების უდიდესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (უმეტესწილად, ევროსა და აშშ დოლარში), რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიმართ მათ მოწყვლადობას განაპირობებს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების შედეგად იზრდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების მოცულობა და მათი მომსახურების ხარჯები, რაც ნეგატიურად აისახება საწარმოების მომგებიანობის დონეზე, მცირდება მათი წმინდა ღირებულება და იზრდება არაპროგნოზირებადობის ხარისხი. ამდენად, ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოებმა გადახედონ ვალის მართვის პოლიტიკას და უპირატესობა მიანიჭონ სესხებს ეროვნულ ვალუტაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მათი შემოსავლების არცერთი წყარო არის უცხოურ ვალუტაში.


აღსანიშნავია, რომ სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკის შემცირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სავალუტო რისკის შემცირების სტრატეგია“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის N922 განკარგულებით. სსე-ს სავალუტო რისკის შემცირების გეგმა სრულად შეესაბამება ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიაში ჩამოყალიბებულ მიზნებს საგარეო ვალისა და მასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის შემცირების შესახებ (მთავრობის მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ეტაპობრივი ზრდა) და სსე-სთვის ახალი სესხების მოზიდვისას, სავალუტო რისკის შესამცირებლად, პრიორიტეტი მიენიჭება ეროვნულ ვალუტას. სასესხო კაპიტალის მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ ლარში ნომინირებული სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების და მოზიდული სახსრების სსე-სთვის გადასესხების გზით. ასევე, სსე-ის მიერ კომერციული ბანკებიდან სესხების მოზიდვის ან საკუთარი, ლარში ნომინირებული ობლიგაციების გამოშვების საშუალებით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ უკვე დაგეგმილი აქვს გახდეს კაპიტალის ბაზრის მონაწილე და ლარში ნომინირებული ობლიგაციების ემისიისთვის ემზადება. კაპიტალის ბაზართან წვდომისთვის შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით სსე-ს გამოცხადებული აქვს ინტერესთა გამოხატვა. სსე გეგმავს ობლიგაციების განთავსების შედეგად მოზიდული სახსრებით მოახდინოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირება. აღსანიშნავია, რომ სსე წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის პილოტ საწარმოს. მისი წარმატებული კორპორატიზაცია - მართვის მოდელის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დახვეწა არის საწარმოს კაპიტალის ბაზარზე ჩართვისა და აქტიური მონაწილეობისთვის აუცილებელი საფუძველი და წინაპირობა.

სახელმწიფო საწარმოების რეფორმის მიზანი საწარმოების გამჭვირვალობის, ეფექტურობის, ფინანსური მდგრადობის ზრდასთან ერთად არის სამომავლოდ მათი კაპიტალის ბაზარზე ინტეგრაცია. სახელმწიფო საწარმოების რეფორმის წარმატებული განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმწიფო საწარმოებმა მომავალი საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება შეძლონ დამოუკიდებლად კაპიტალის ბაზარზე მოზიდული ფინანსური რესურსებით და შეწყდეს საგარეო საკრედიტო რესურსებიდან მიღებული სესხების სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხების პრაქტიკა.

სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხებული თანხების მოცულობა - ვალის ნაშთი ლარში ზრდის ტენდენციით ხასიათდება უმეტესწილად ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.





ვალის მართვის პოლიტიკის გადახედვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახელმწიფო საწარმოების ფინანსური რისკების შემცირებაში და გადასესხების პრაქტიკის შეწყვეტა აღმოფხვრის ამ პრაქტიკის თანმხლებ ფისკალურ რისკებს.

## მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვსაზღვროთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.



იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

| სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი | 2013     | 2014     | 2015      | 2016      | 2017     | 2018     | 2019      |
|---|----------|----------|-----------|-----------|----------|----------|-----------|
| <b>შემოსავალი</b>                             | <b>1</b> | <b>2</b> | <b>2</b>  | <b>26</b> | <b>3</b> | <b>3</b> | <b>13</b> |
| საოპერაციო შემოსავალი                         | 0        | 1        | 0         | 0         | 0        | 1        | 0         |
| არასაოპერაციო შემოსავალი                      | 1        | 1        | 2         | 26        | 3        | 3        | 13        |
| <b>ხარჯი</b>                                  | <b>1</b> | <b>1</b> | <b>3</b>  | <b>9</b>  | <b>2</b> | <b>2</b> | <b>3</b>  |
| საოპერაციო ხარჯი                              | 1        | 1        | 1         | 1         | 1        | 2        | 3         |
| ცვეთა/ამორტიზაცია                             | 0        | 0        | 0         | 0         | 0        | 0        | 0         |
| არასაოპერაციო ხარჯი                           | 0        | 0        | 2         | 8         | 0        | 1        | 0         |
| მ.შ.საპროცენტო ხარჯი                          | 0        | 0        | 0         | 3         | 0        | 0        | 0         |
| მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი         | 0        | 0        | 0         | 1         | 0        | 0        | 0         |
| სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი            | 0        | 0        | 2         | 4         | 0        | 1        | 0         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                     | <b>0</b> | <b>1</b> | <b>-1</b> | <b>17</b> | <b>1</b> | <b>1</b> | <b>10</b> |
| მოგების გადასახადი                            | 0        | 0        | 0         | 2         | 0        | 0        | 0         |
| <b>წმინდა მოგება</b>                          | <b>0</b> | <b>1</b> | <b>-1</b> | <b>15</b> | <b>1</b> | <b>1</b> | <b>10</b> |

### ფინანსური კოეფიციენტები

| სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი | 2013  | 2014  | 2015 | 2016  | 2017   | 2018    | 2019  |
|---|-------|-------|------|-------|--------|---------|-------|
| <b>რენტაბელობა</b>                            |       |       |      |       |        |         |       |
| შემოსავლების ცვლილება                         | -     | 43%   | 35%  | 1012% | -88%   | 9%      | 279%  |
| ხარჯების ცვლილება                             | -     | 15%   | 240% | 156%  | -81%   | 35%     | 36%   |
| Operating Margin                              | -     | -44%  | -    | -     | -      | -150%   | -     |
| Efficiency Ratio                              | 72%   | 58%   | 147% | 34%   | 56%    | 69%     | 25%   |
| ROA   | 1%    | 1%    | -1%  | 21%   | 2%     | 1%      | 12%   |
| ROE   | 1%    | 1%    | -2%  | 22%   | 2%     | 1%      | 12%   |
| <b>ლიკვიდურობა</b>                            |       |       |      |       |        |         |       |
| Current Ratio                                 | 7680% | 1911% | 97%  | 2528% | 93147% | 102136% | 3422% |
| <b>გადახდისუნარიანობა</b>                     |       |       |      |       |        |         |       |
| Debt to Equity                                | 1%    | 2%    | 79%  | 2%    | 0%     | 0%      | 2%    |
| Interest Coverage                             | -     | -     | -    | 473%  | -      | -       | -     |

## 6. შპს ენგურჰესი

ენგურჰესი უსასყიდლოდ აწვდის ელექტროენერგიას ოკუპირებულ აფხაზეთს, კომპანიის წლიურ გენერაციაში წლიდან წლამდე იზრდება ოკუპირებული აფხაზეთის მოხმარების წილი, რაც ფინანსურ ტვირთად აწევს კომპანიას. აღნიშნული წარმოადგენს ცხად კვაზი ფისკალურ აქტივობას.

ენგურჰესმა 2019 წელი დაასრულა 5 მილიონი ლარის ოდენობით ზარალით (კონსოლიდირებული). ამასთან, უსასყიდლოდ მიწოდებული ელექტროენერჯის კომერციული ტარიფით გაყიდვის ან აღნიშნულის საწარმოებლად გაწეული საოპერაციო ხარჯების შესაბამისი პროპორციით შემცირების პირობებში ენგურჰესის წმინდა მოგება იქნებოდა 15 მილიონ ლარზე მეტი.

### ბალანსი

მლნ ლარებში

| შპს ენგურჰესი                        | 2013       | 2014       | 2015       | 2016       | 2017       | 2018       | 2019       |
|--------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                      | <b>306</b> | <b>330</b> | <b>349</b> | <b>348</b> | <b>354</b> | <b>371</b> | <b>388</b> |
| მიმდინარე აქტივები                   | 20         | 14         | 14         | 6          | 11         | 31         | 40         |
| გრძელვადიანი აქტივები                | 286        | 315        | 335        | 341        | 342        | 340        | 348        |
| <b>კაპიტალი</b>                      | <b>189</b> | <b>200</b> | <b>186</b> | <b>169</b> | <b>161</b> | <b>182</b> | <b>177</b> |
| საწესდებო კაპიტალი                   | 174        | 208        | 207        | 207        | 208        | 208        | 208        |
| კაპიტალში შენატანები                 | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება                 | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| დაუფარავი ზარალი                     | 0          | 0          | 0          | -38        | -47        | -26        | -31        |
| სხვა დანარჩენი კაპიტალი              | 15         | -8         | -21        | 0          | 0          | 0          | 0          |
| <b>ვალდებულებები</b>                 | <b>117</b> | <b>130</b> | <b>163</b> | <b>179</b> | <b>192</b> | <b>188</b> | <b>210</b> |
| მიმდინარე ვალდებულებები              | 1          | 9          | 6          | 16         | 2          | 4          | 6          |
| გრძელვადიანი ვალდებულებები           | 116        | 121        | 157        | 163        | 190        | 184        | 204        |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>306</b> | <b>330</b> | <b>349</b> | <b>348</b> | <b>354</b> | <b>371</b> | <b>388</b> |

### მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

| შპს ენგურჰესი                         | 2013      | 2014      | 2015       | 2016      | 2017      | 2018      | 2019      |
|---------------------------------------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|-----------|-----------|
| <b>შემოსავალი</b>                     | <b>42</b> | <b>61</b> | <b>47</b>  | <b>37</b> | <b>42</b> | <b>63</b> | <b>44</b> |
| საოპერაციო შემოსავალი                 | 42        | 54        | 46         | 37        | 42        | 62        | 43        |
| არასაოპერაციო შემოსავალი              | 0         | 7         | 1          | 0         | 0         | 1         | 1         |
| <b>ხარჯი</b>                          | <b>49</b> | <b>50</b> | <b>60</b>  | <b>45</b> | <b>51</b> | <b>43</b> | <b>49</b> |
| საოპერაციო ხარჯი                      | 39        | 44        | 46         | 35        | 36        | 40        | 40        |
| ცვეთა/ამორტიზაცია                     | 0         | 0         | 0          | 1         | 1         | 1         | 1         |
| არასაოპერაციო ხარჯი                   | 10        | 6         | 14         | 10        | 15        | 3         | 8         |
| მ.შ.საპროცენტო ხარჯი                  | 2         | 0         | 0          | 3         | 3         | 3         | 3         |
| მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი | 0         | 0         | 0          | 7         | 13        | 0         | 6         |
| სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი    | 8         | 5         | 14         | 0         | 0         | 0         | 0         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             | <b>-7</b> | <b>11</b> | <b>-13</b> | <b>-8</b> | <b>-9</b> | <b>21</b> | <b>-5</b> |
| მოგების გადასახადი                    | 0         | 0         | 0          | 0         | 0         | 0         | 0         |
| <b>წმინდა მოგება</b>                  | <b>-7</b> | <b>11</b> | <b>-13</b> | <b>-8</b> | <b>-9</b> | <b>21</b> | <b>-5</b> |

### ფინანსური კოეფიციენტები

| შპს ენგურჰესი         | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|-----------------------|------|------|------|------|------|------|------|
| <b>რენტაბელობა</b>    |      |      |      |      |      |      |      |
| შემოსავლების ცვლილება | -    | 45%  | -23% | -21% | 14%  | 49%  | -31% |

|                           |       |       |        |       |       |      |       |
|---------------------------|-------|-------|--------|-------|-------|------|-------|
| ხარჯების ცვლილება         | -     | 2%    | 20%    | -24%  | 13%   | -17% | 15%   |
| Operating Margin          | 7%    | 19%   | 0%     | 5%    | 15%   | 36%  | 6%    |
| Efficiency Ratio          | 116%  | 82%   | 128%   | 122%  | 120%  | 67%  | 111%  |
| ROA                       | -2%   | 3%    | -4%    | -2%   | -2%   | 6%   | -1%   |
| ROE                       | -4%   | 6%    | -7%    | -5%   | -5%   | 11%  | -3%   |
| <b>ლიკვიდურობა</b>        |       |       |        |       |       |      |       |
| Current Ratio             | 1878% | 155%  | 233%   | 41%   | 642%  | 817% | 625%  |
| <b>გადახდისუნარიანობა</b> |       |       |        |       |       |      |       |
| Debt to Equity            | 62%   | 65%   | 88%    | 106%  | 119%  | 103% | 119%  |
| Interest Coverage         | -364% | 2678% | -2639% | -300% | -327% | 807% | -185% |

## 7. შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია

### ბალანსი

მლნ ლარებში

| შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია   | 2013       | 2014       | 2015       | 2016       | 2017       | 2018       | 2019       |
|--------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                      | <b>484</b> | <b>468</b> | <b>460</b> | <b>511</b> | <b>288</b> | <b>424</b> | <b>811</b> |
| მიმდინარე აქტივები                   | 47         | 32         | 37         | 51         | 71         | 221        | 162        |
| გრძელვადიანი აქტივები                | 437        | 436        | 423        | 460        | 217        | 203        | 649        |
| <b>კაპიტალი</b>                      | <b>482</b> | <b>465</b> | <b>458</b> | <b>472</b> | <b>249</b> | <b>383</b> | <b>797</b> |
| საწესდებო კაპიტალი                   | 337        | 339        | 348        | 365        | 332        | 521        | 737        |
| კაპიტალში შენატანები                 | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება                 | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| დაუფარავი ზარალი                     | 0          | 0          | 0          | 0          | -83        | -138       | -294       |
| სხვა დანარჩენი კაპიტალი              | 145        | 126        | 110        | 107        | 0          | 0          | 354        |
| <b>ვალდებულებები</b>                 | <b>2</b>   | <b>2</b>   | <b>2</b>   | <b>39</b>  | <b>39</b>  | <b>42</b>  | <b>15</b>  |
| მიმდინარე ვალდებულებები              | 2          | 2          | 2          | 39         | 14         | 19         | 15         |
| გრძელვადიანი ვალდებულებები           | 0          | 0          | 0          | 0          | 25         | 23         | 0          |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>484</b> | <b>468</b> | <b>460</b> | <b>511</b> | <b>288</b> | <b>424</b> | <b>811</b> |

### მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

| შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია | 2013       | 2014       | 2015       | 2016       | 2017       | 2018       | 2019       |
|------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| <b>შემოსავალი</b>                  | <b>104</b> | <b>114</b> | <b>117</b> | <b>122</b> | <b>132</b> | <b>149</b> | <b>192</b> |
| საოპერაციო შემოსავალი              | 100        | 109        | 112        | 113        | 128        | 140        | 163        |
| არასაოპერაციო შემოსავალი           | 4          | 5          | 5          | 9          | 4          | 9          | 29         |
| <b>ხარჯი</b>                       | <b>121</b> | <b>133</b> | <b>133</b> | <b>133</b> | <b>202</b> | <b>205</b> | <b>212</b> |
| საოპერაციო ხარჯი                   | 120        | 132        | 133        | 132        | 202        | 205        | 212        |
| ცვეთა/ამორტიზაცია                  | 0          | 0          | 0          | 0          | 16         | 16         | 34         |
| არასაოპერაციო ხარჯი                | 1          | 1          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |

|                                       |            |            |            |            |            |            |            |
|---------------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| მ.შ.საპროცენტო ხარჯი                  | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი    | 1          | 1          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>              | <b>-17</b> | <b>-19</b> | <b>-16</b> | <b>-10</b> | <b>-71</b> | <b>-56</b> | <b>-20</b> |
| მოგების გადასახადი                    | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          | 0          |
| <b>წმინდა მოგება</b>                  | <b>-17</b> | <b>-19</b> | <b>-16</b> | <b>-10</b> | <b>-71</b> | <b>-56</b> | <b>-20</b> |

### ფინანსური კოეფიციენტები

| შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია | 2013  | 2014  | 2015  | 2016   | 2017    | 2018  | 2019  |
|------------------------------------|-------|-------|-------|--------|---------|-------|-------|
| <b>რენტაბელობა</b>                 |       |       |       |        |         |       |       |
| შემოსავლების ცვლილება              | -     | 10%   | 2%    | 4%     | 8%      | 13%   | 29%   |
| ხარჯების ცვლილება                  | -     | 10%   | 0%    | -1%    | 53%     | 1%    | 3%    |
| Operating Margin                   | -20%  | -21%  | -19%  | -17%   | -58%    | -46%  | -30%  |
| Efficiency Ratio                   | 116%  | 116%  | 114%  | 108%   | 153%    | 137%  | 110%  |
| ROA                                | -4%   | -4%   | -3%   | -2%    | -24%    | -13%  | -2%   |
| ROE                                | -4%   | -4%   | -3%   | -2%    | -28%    | -15%  | -2%   |
| <b>ლიკვიდურობა</b>                 |       |       |       |        |         |       |       |
| Current Ratio                      | 2516% | 1296% | 1750% | 131%   | 506%    | 1167% | 1111% |
| <b>გადახდისუნარიანობა</b>          |       |       |       |        |         |       |       |
| Debt to Equity                     | 0%    | 1%    | 0%    | 8%     | 16%     | 11%   | 2%    |
| Interest Coverage                  | -     | -     | -     | -6143% | -41511% | -     | -     |

### 8. შპს საქართველოს ფოსტა

კომპანიის კონსოლიდირებული ანგარიშგების თანახმად, კომპანიის შემოსავალი 2019 წელს 83 მილიონი ლარია და წინა საანგარიშგებო წელთან შედარებით 15%-ით შემცირებულია, რაც გამოწვეულია საფოსტო გზავნილების მიღებიდან, დამუშავებიდან და გაგზავნიდან შემოსავლების შემცირებით. საქმიანობების მიხედვით შემოსავლების პროცენტული განაწილება 2019 წლისთვის შემდეგია:

- შემოსავალი საფოსტო მომსახურებიდან - 42%;
- შემოსავალი ლოჯისტიკის მომსახურებიდან - 19%;
- შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან - 34%.

### ბალანსი

მლნ ლარებში

| შპს საქართველოს ფოსტა | 2013      | 2014      | 2015      | 2016      | 2017      | 2018      | 2019      |
|-----------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| <b>აქტივები</b>       | <b>50</b> | <b>53</b> | <b>57</b> | <b>70</b> | <b>72</b> | <b>84</b> | <b>80</b> |
| მიმდინარე აქტივები    | 14        | 16        | 21        | 32        | 27        | 43        | 35        |
| გრძელვადიანი აქტივები | 36        | 37        | 35        | 38        | 45        | 41        | 44        |

|                                      |           |           |           |           |           |           |           |
|--------------------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| <b>კაპიტალი</b>                      | <b>40</b> | <b>39</b> | <b>39</b> | <b>48</b> | <b>51</b> | <b>47</b> | <b>52</b> |
| საწესდებო კაპიტალი                   | 43        | 43        | 42        | 51        | 51        | 48        | 50        |
| კაპიტალში შენატანები                 | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         |
| გაუნაწილებელი მოგება                 | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         |
| დაუფარავი ზარალი                     | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 0         |
| სხვა დანარჩენი კაპიტალი              | -3        | -4        | -3        | -3        | 0         | 0         | 2         |
| <b>ვალდებულებები</b>                 | <b>10</b> | <b>14</b> | <b>18</b> | <b>22</b> | <b>21</b> | <b>37</b> | <b>28</b> |
| მიმდინარე ვალდებულებები              | 10        | 14        | 17        | 22        | 21        | 28        | 16        |
| გრძელვადიანი ვალდებულებები           | 0         | 0         | 0         | 0         | 0         | 9         | 12        |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>50</b> | <b>53</b> | <b>57</b> | <b>70</b> | <b>72</b> | <b>84</b> | <b>80</b> |

### მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

| შპს საქართველოს ფოსტა                 | 2013     | 2014      | 2015      | 2016      | 2017      | 2018       | 2019      |
|---------------------------------------|----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|-----------|
| <b>შემოსავალი</b>                     | <b>0</b> | <b>54</b> | <b>61</b> | <b>73</b> | <b>89</b> | <b>103</b> | <b>90</b> |
| საოპერაციო შემოსავალი                 | 0        | 53        | 59        | 70        | 86        | 98         | 83        |
| არასაოპერაციო შემოსავალი              | 0        | 1         | 3         | 3         | 3         | 5          | 7         |
| <b>ხარჯი</b>                          | <b>0</b> | <b>56</b> | <b>61</b> | <b>72</b> | <b>89</b> | <b>104</b> | <b>87</b> |
| საოპერაციო ხარჯი                      | 0        | 54        | 59        | 69        | 86        | 100        | 82        |
| ცვეთა/ამორტიზაცია                     | 0        | 0         | 0         | 0         | 3         | 4          | 4         |
| არასაოპერაციო ხარჯი                   | 0        | 2         | 1         | 3         | 3         | 4          | 5         |
| მ.შ.საპროცენტო ხარჯი                  | 0        | 0         | 0         | 0         | 0         | 0          | 0         |
| მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი | 0        | 0         | 0         | 0         | 0         | 0          | 3         |
| სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი    | 0        | 2         | 1         | 3         | 3         | 4          | 2         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             | <b>0</b> | <b>-1</b> | <b>1</b>  | <b>1</b>  | <b>0</b>  | <b>0</b>   | <b>3</b>  |
| მოგების გადასახადი                    | 0        | 0         | 0         | 0         | 0         | 0          | 0         |
| <b>წმინდა მოგება</b>                  | <b>0</b> | <b>-1</b> | <b>1</b>  | <b>1</b>  | <b>0</b>  | <b>0</b>   | <b>3</b>  |

### ფინანსური კოეფიციენტები

| შპს საქართველოს ფოსტა     | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---------------------------|------|------|------|------|------|------|------|
| <b>რენტაბელობა</b>        |      |      |      |      |      |      |      |
| შემოსავლების ცვლილება     | -    | -    | 13%  | 19%  | 22%  | 16%  | -13% |
| ხარჯების ცვლილება         | -    | -    | 9%   | 19%  | 24%  | 16%  | -16% |
| Operating Margin          | -    | 0%   | -1%  | 1%   | -1%  | -1%  | 1%   |
| Efficiency Ratio          | -    | 102% | 99%  | 98%  | 100% | 100% | 97%  |
| ROA                       | 0%   | -2%  | 1%   | 2%   | 0%   | 0%   | 4%   |
| ROE                       | 0%   | -3%  | 2%   | 3%   | 0%   | -1%  | 6%   |
| <b>ლიკვიდურობა</b>        |      |      |      |      |      |      |      |
| Current Ratio             | 142% | 113% | 122% | 146% | 132% | 152% | 221% |
| <b>გადახდისუნარიანობა</b> |      |      |      |      |      |      |      |
| Debt to Equity            | 26%  | 37%  | 46%  | 45%  | 41%  | 78%  | 53%  |

|                   |   |   |   |   |   |   |   |
|-------------------|---|---|---|---|---|---|---|
| Interest Coverage | - | - | - | - | - | - | - |
|-------------------|---|---|---|---|---|---|---|

## 9. შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების, არც სამთავრობო სექტორებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარკინიგზო ხაზის გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის და თურქეთის სარკინიგზო ქსელებს და მისი საქმიანობა არ მოიაზრებს მოგების გენერირებას. ამიტომ, მიზანშეწონილად არ ვთვლით სახელმწიფო საწარმოთა პორტფელის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებში მარაბდა-კარწახის რკინიგზის გათვალისწინებას.

კომპანიის ამჟამინდელი ზარალი განპირობებულია კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალებით და დარიცხული საპროცენტო ხარჯებით.

კომპანიას სესხები მიღებული აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსგან. საკრედიტო ხაზი შეადგენს 775 მლნ აშშ დოლარს და მისი ერთადერთი დანიშნულებაა პროექტის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარდაუვალი საოპერაციო ხარჯის დაფინანსება. სესხი გაცემულ იყო 2 ტრანშად:

- პირველი ტრანში - 200 მლნ აშშ დოლარი; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 1%; ტრანში სრულად ათვისებულია;
- მეორე ტრანში - 575 მლნ აშშ დოლარი; წლიური საპროცენტო განაკვეთი 5%; 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აუთვისებელი დარჩა დაახლოებით 109 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფულადი რესურსი საკრედიტო ხაზის მეორე ტრანშის ფარგლებში.

კომპანიის სესხი არ წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ნაწილს.

### ბალანსი

მლნ  
ლარებში  
0

| შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა        | 2013       | 2014         | 2015         | 2016         | 2017         | 2018         | 2019         |
|--------------------------------------|------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| <b>აქტივები</b>                      | <b>870</b> | <b>1,010</b> | <b>1,170</b> | <b>1,285</b> | <b>1,393</b> | <b>1,461</b> | <b>1,535</b> |
| მიმდინარე აქტივები                   | 375        | 344          | 310          | 261          | 281          | 258          | 248          |
| გრძელვადიანი აქტივები                | 496        | 666          | 860          | 1,025        | 1,112        | 1,203        | 1,288        |
| <b>კაპიტალი</b>                      | <b>8</b>   | <b>-82</b>   | <b>-414</b>  | <b>-616</b>  | <b>-565</b>  | <b>-664</b>  | <b>-847</b>  |
| საწესდებო კაპიტალი                   | 54         | 53           | 53           | 53           | 53           | 57           | 57           |
| კაპიტალში შენატანები                 | 0          | 0            | 0            | 30           | 30           | 30           | 0            |
| გაუნაწილებელი მოგება                 | 0          | 0            | 0            | 0            | 0            | 0            | 0            |
| დაუფარავი ზარალი                     | 0          | 0            | 0            | -699         | -648         | -751         | -933         |
| სხვა დანარჩენი კაპიტალი              | -46        | -135         | -467         | 0            | 0            | 0            | 30           |
| <b>ვალდებულებები</b>                 | <b>862</b> | <b>1,092</b> | <b>1,584</b> | <b>1,902</b> | <b>1,959</b> | <b>2,126</b> | <b>2,382</b> |
| მიმდინარე ვალდებულებები              | 8          | 9            | 23           | 10           | 14           | 19           | 23           |
| გრძელვადიანი ვალდებულებები           | 854        | 1,083        | 1,561        | 1,891        | 1,945        | 2,107        | 2,359        |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>870</b> | <b>1,010</b> | <b>1,170</b> | <b>1,285</b> | <b>1,393</b> | <b>1,461</b> | <b>1,535</b> |



## მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

| შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა         | 2013       | 2014       | 2015        | 2016        | 2017      | 2018        | 2019        |
|---------------------------------------|------------|------------|-------------|-------------|-----------|-------------|-------------|
| <b>შემოსავალი</b>                     | <b>0</b>   | <b>9</b>   | <b>0</b>    | <b>0</b>    | <b>41</b> | <b>0</b>    | <b>0</b>    |
| საოპერაციო შემოსავალი                 | 0          | 0          | 0           | 0           | 0         | 0           | 0           |
| არასაოპერაციო შემოსავალი              | 0          | 9          | 0           | 0           | 41        | 0           | 0           |
| <b>ხარჯი</b>                          | <b>52</b>  | <b>97</b>  | <b>332</b>  | <b>205</b>  | <b>28</b> | <b>103</b>  | <b>183</b>  |
| საოპერაციო ხარჯი                      | 11         | 13         | 16          | 18          | 20        | 20          | 22          |
| ცვეთა/ამორტიზაცია                     | 0          | 0          | 0           | 2           | 2         | 2           | 2           |
| არასაოპერაციო ხარჯი                   | 41         | 84         | 317         | 188         | 8         | 82          | 161         |
| მ.შ.საპროცენტო ხარჯი                  | 3          | 5          | 6           | 8           | 8         | 11          | 9           |
| მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი | 0          | 0          | 0           | 180         | 0         | 68          | 152         |
| სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი    | 38         | 79         | 311         | 0           | 0         | 4           | 0           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             | <b>-52</b> | <b>-88</b> | <b>-332</b> | <b>-205</b> | <b>14</b> | <b>-103</b> | <b>-183</b> |
| მოგების გადასახადი                    | 0          | 0          | 0           | -3          | 0         | 0           | 0           |
| <b>წმინდა მოგება</b>                  | <b>-52</b> | <b>-88</b> | <b>-332</b> | <b>-202</b> | <b>14</b> | <b>-103</b> | <b>-183</b> |

## ფინანსური კოეფიციენტები

| შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა | 2013   | 2014   | 2015     | 2016   | 2017  | 2018  | 2019    |
|-------------------------------|--------|--------|----------|--------|-------|-------|---------|
| <b>რენტაბელობა</b>            |        |        |          |        |       |       |         |
| შემოსავლების ცვლილება         | -      | 2557%  | -100%    | -100%  | -     | -100% | -       |
| ხარჯების ცვლილება             | -      | 86%    | 243%     | -38%   | -87%  | 272%  | 78%     |
| Operating Margin              | -      | -      | -65090%  | -      | -     | -     | -       |
| Efficiency Ratio              | 15666% | 1099%  | 1387511% | -      | 67%   | -     | 285271% |
| ROA                           | -6%    | -9%    | -28%     | -16%   | 1%    | -7%   | -12%    |
| ROE                           | -622%  | 108%   | 80%      | 33%    | -2%   | 15%   | 22%     |
| <b>ლიკვიდურობა</b>            |        |        |          |        |       |       |         |
| Current Ratio                 | 4917%  | 3942%  | 1353%    | 2579%  | 2071% | 1365% | 1077%   |
| <b>გადახდისუნარიანობა</b>     |        |        |          |        |       |       |         |
| Debt to Equity                | 10379% | -1333% | -382%    | -309%  | -346% | -320% | -281%   |
| Interest Coverage             | -2009% | -1738% | -5341%   | -2626% | 173%  | -935% | -1973%  |

# სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი

## შესავალი

ამ თავში მოცემულია 6 ძირითადი სახელმწიფო საწარმოს ფინანსური რისკების ანალიზი. თავი მოიცავს: ანალიზის მიზანს, ანალიზში გამოყენებულ ძირითად დაშვებებს და მოდელირებულ მაკრო-ეკონომიკურ სცენარებს, ასევე რისკების ანალიზის ძირითად მიგნებებს და დასკვნებს. დანართებში დეტალურადაა მოცემული საბაზისო სცენარის ფინანსური პროგნოზები და სცენარების ანალიზი ექვსი საწარმოსთვის, როგორც კონსოლიდირებულ, ასევე ინდივიდუალურ ჭრილში.

ანალიზში განხილულ ექვს საწარმოს წარმოადგენს:

1. ენგურჰესი;
2. საქართველოს რკინიგზა;
3. ნავთობისა და გაზის კორპორაცია;
4. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;
5. მარაბდა-კარწახის რკინიგზა;
6. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

ეს სახელმწიფო საწარმოები შეირჩა მათი ფინანსური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ კომპანიების 2019 წლის ჯამური მთლიანი აქტივები ფისკალური რისკების ანალიზში განხილულ სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მთლიანი აქტივების 67%-ს შეადგენს.

## სენსიტიურობის ანალიზის მიზნები

სენსიტიურობის ანალიზის მიზანია შეაფასოს საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების ფინანსური შედეგები „ზედა დონეზე“ შემდგომი ხუთი წლისთვის, რომლებიც მომდინარეობს რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო საწარმოდან. ძირითადი ამოცანა, რომელსაც ანალიზი პასუხს სცემს არის: რა ფინანსური გავლენა ექნება მწვავე ეკონომიკურ შოკებს სახელმწიფო საწარმოებზე და მათ მფლობელზე - სახელმწიფოზე. მოდელირებული სცენარები მოიცავს მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთების შოკებს.

ანალიზი განხორციელებულია ზედა-დონეზე და რისკების რაოდენობრივი გამოსახულების დანიშნულებაა იყოს მიმანიშნებელი და არა ზუსტი, რადგან ანალიზი დაფუძნებულია ფინანსური მაჩვენებლების და გარე ფაქტორების პროგნოზებზე, ასევე ამ გარე ფაქტორების ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის დაშვებებზე და გარდაუვლად არსებობს განუსაზღვრელობა პროგნოზებთან და დაშვებებთან დაკავშირებით.

მოდელი მოიცავს სამწლიან ისტორიულ (2017-2019) და ხუთწლიან პრო-ფორმა (2020-2024) ფინანსურ პროგნოზებს. ფინანსური უწყისები მოიცავს საანგარიშო პერიოდისთვის ზედა დონის მოგება-ზარალის, ბალანსისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებებიდან დაანგარიშებულია ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.

## ეკონომიკური სცენარები

მოდელი განიხილავს საქართველოს მაკროეკონომიკური პერსპექტივის 6 სცენარს.

- სცენარი 1 - საბაზისო სცენარი, ეყრდნობა თითოეული საწარმოს ფინანსურ პროგნოზებს მიმდინარე და მომდევნო წლებისთვის (2020-2024);
- სცენარი 2 - უშვებს მშპ-ს მწვავე შოკს, რაც შეადგენს 2021-2022 და 2023 წლებისთვის მშპ-ს ზრდას მხოლოდ 2%-ით და 3.3%-ით შესაბამისად (საბაზისო სცენართან შედარებით, რომელიც 2021 წლისთვის ითვალისწინებს 5%-იან, 2022 წლისთვის 4.9%-იან, ხოლო 2023 წლისათვის 4.8%-იან ზრდას), სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 3 - უშვებს გაცვლითი კურსის მწვავე შოკს ლარის სხვა ვალუტებთან დაახლოებით 35%-ით გაუფასურებით 2021 წლისთვის და შემდგომ მცირე გაჯანსაღებით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 4 - უშვებს საპროცენტო განაკვეთის მწვავე შოკს, რაც გამოიხატება საპროცენტო განაკვეთის 470 საბაზისო ერთეულით (4.7%) ზრდით 2021 წელს და შემდგომ პერიოდში გაზრდილი მაჩვენებლის შენარჩუნებით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 5 - უშვებს სამივე მაკროეკონომიკური ცვლადის შოკს ერთდროულად (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი), შოკების მაგნიტუდისა და ხანგრძლივობის 2-4 სცენარებში აღწერილის შესაბამისად;
- სცენარი 6 - უშვებს სცენარი 2-ში აღწერილ მშპ-ს ზრდის შოკზე კიდევ უფრო მწვავე შოკს, რაც გამოიხატება მშპ-ს ზრდის -5%-მდე და -2%-მდე შემცირებით 2021-2022 წლისთვის შესაბამისად (საბაზისო სცენარში მშპ-ს 5%-იან და 4.9%-იან ზრდასთან შედარებით), შემდგომ სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში.

**სცენარებში დაშვებები ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ამ ანალიზის მიზნებისთვის მომზადებულ სცენარებს**

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ 2-6 სცენარებში მოცემული დაშვებები არ წარმოადგენს სამინისტროს ხედვას საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზების შესახებ მომავალ წლებში, ნაცვლად ამისა, სცენარები იძლევა საშუალებას (საქართველოს უახლეს წარსულზე დაყრდნობით), გამოისახოს ის შედეგები რაც შეიძლება დადგეს მწვავე შოკების ეკონომიკაზე ზეგავლენის შედეგად. სცენარების მიზანია გაზომოს აღნიშნული მწვავე შოკების რეალიზების შემთხვევაში გავლენა სახელმწიფო საწარმოებზე და მათ ფაქტიურ მფლობელზე - სახელმწიფოზე.

**მომზადებული საბაზისო სცენარის ეკონომიკური დაშვებების რიცხობრივი მაჩვენებლები პროგნოზების გათვალისწინებით მოცემულია ცხრილში 1.**

**ცხრილი 1. საბაზისო სცენარის დაშვებები: 5 წლის პროგნოზები**

| საბაზისო სცენარის დაშვებები                | 2020  | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|--|-------|------|------|------|------|
| მშპ-ს რეალური ზრდა                         | -4.9% | 5.0% | 4.9% | 4.8% | 5.4% |
| გაცვლითი კურსი ლარი/დოლარი                 | 3.29  | 3.29 | 3.29 | 3.29 | 3.29 |
| <b>საპროცენტო განაკვეთები</b>              |       |      |      |      |      |
| საპროცენტო განაკვეთი ლარში აღებულ სესხებზე | 8.2%  | 8.2% | 7.8% | 7.7% | 7.7% |

საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში  
 ადებულ სესხებზე 2.1% 2.1% 1.8% 1.6% 1.6%

საბაზისო სცენარში საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი მნიშვნელოვნად უმჯობესდება 2021 წლიდან და შეადგენს დაახლოებით 5%-ს შემდეგი 4 წლისთვის, გაცვლითი კურსი უცვლელია და საპროცენტო განაკვეთები უმნიშვნელოდ ვარიირებს და მეტ-ნაკლებად სტაბილურად რჩება ერთ დონეზე.

ეკონომიკური დაშვებები სტრეს სცენარებისთვის (სცენარები 2-6) მოცემულია ქვემოთ, ცხრილში 2:

**ცხრილი 2. ალტერნატიული სცენარების მაკროეკონომიკური დაშვებები**

| <b>DSA დაშვებები</b>  | <b>2020</b> | <b>2021</b> | <b>2022</b> | <b>2023</b> | <b>2024</b> |
|---|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| სცენარი 2: მშპ-ს რეალური ზრდის შოკი   | -5.7%       | 2.0%        | 2.0%        | 3.3%        | 5.7%        |
| სცენარი 3: გაცვლის კურსი ლარი/დოლარი შოკი                                       | 3.29        | 4.44        | 4.39        | 4.38        | 4.37        |
| სცენარი 4: საპროცენტო განაკვეთების შოკი   |             |             |             |             |             |
| საპროცენტო განაკვეთები ლარში ადებულ სესხებზე                                    | 12.9%       | 12.9%       | 12.5%       | 12.4%       | 12.4%       |
| საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში ადებულ სესხებზე                          | 6.8%        | 6.8%        | 6.5%        | 6.3%        | 6.3%        |
| სცენარი 5: კომბინირებული შოკი - მშპ-ს, გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთების |             |             |             |             |             |
| <b>ფისკალური სტრეს ტესტის სცენარი</b>   |             |             |             |             |             |
| სცენარი 6: მშპ-ს რეალური ზრდა   | -8.0%       | -5.0%       | -2.0%       | 4.8%        | 5.4%        |

ფინანსური რისკების ანალიზი ეყრდნობა საშუალო-ვადიან (5 წლიან) პროგნოზების პერიოდს და იყენებს წლიურ მონაცემებს. მოცემული ანალიზის დანიშნულება არ არის გამოავლინოს ყველა ფინანსური რისკი, რომლის წინაშეც დგანან ანალიზში გამოყენებული საწარმოები. მაგალითად, ანალიზი არ მოიცავს ქვემოთ მოცემულ რისკებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ან ყველა საწარმო შეიძლება იდგეს ამ რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკები, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს მომხმარებლების მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობით, ან გვიანი გადახდებით;
- სექტორისთვის დამახასიათებელი რისკები, როგორცაა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის სამომხმარებლო ფასების და მოცულობების ცვლილების ზემოქმედება ენგურჰესისთვის, ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის;
- ბაზრის წილის რისკები, როგორცაა კონკურენტების მხრიდან ბაზრის წილის გაზრდა, მაგალითად, ტრანსპორტირების ალტერნატიული ფორმების გაჩენამ შესაძლოა შეამციროს საქართველოს რკინიგზისა და მარაბდა-კარწახის ტვირთის ბრუნვის მოცულობები;
- მშენებლობასა და პროექტების მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკები, რომელიც შესაძლოა იყოს ძირითადი ფინანსური რისკი ისეთი სახელმწიფო საწარმოებისათვის, როგორცაა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მარაბდა-კარწახის რკინიგზა.

როგორც ნებისმიერი მოდელი, ეს მოდელიც არის იმდენად ზუსტი, რამდენადაც მოდელში გამოყენებული ძირითადი საპროგნოზო მონაცემები და დაშვებები. საწარმოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის აუდიტი არ განხორციელებულა.

## ანალიზის შედეგები

### საბაზისო სცენარის პროგნოზები

სცენარების ანალიზის შედეგების წარდგენამდე, ქვემოთ მოცემულ ცხრილში 3 მოცემულია საბაზისო სცენარის ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები ექვსივე საწარმოსთვის. როგორც ცხრილი მიუთითებს:

- 2020 წლის გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს -161 მილიონ ლარს. საპროგნოზო წმინდა მოგება იმატებს 2021 წლისთვის და შემდგომ პერიოდშიც ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას 2023 წლისთვის მცირედი კლების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი კაპიტალის უკუგება (ROE) 2020 წლისთვის შეადგენს -19%-ს. რაც შეეხება აქტივების უკუგებას (ROA), აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს 4%-დან 7%-მდე შუალედში 2020-2024 წლებში.
- ვალდებულებების აქტივების ჯამურ მოცულობაზე შეფარდების კოეფიციენტი სახელმწიფო საწარმოების მოცემული ჯგუფისთვის, მაღალია და შეადგენს 91%-ს 2020 წლისთვის, რაც შეეხება ამ მონაცემის ჩაშლას, შესამჩნევი ვარიაციაა საწარმოებს შორის, მაგალითად ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის შეადგენს დაახლოებით 44%-ს, ენგურჰესისთვის 58%-ს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და მარაბდა-კარწახის რკინიგზისთვის კი ეს მაჩვენებელი 100%-ზე მაღალია. როგორც წესი, ვალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლის მქონე საწარმოებს მწირი შესაძლებლობები აქვთ გაუმკლავდნენ მწვავე ეკონომიკურ შოკებს.

### ცხრილი 3. ძირითადი ფინანსური ინდიკატორები – საბაზისო სცენარი

| საბაზისო სცენარი                              | 2020 | 2021  | 2022  | 2023  | 2024  |
|---|------|-------|-------|-------|-------|
| წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ (მლნ ლარი) | -161 | 241   | 371   | 358   | 415   |
| წმინდა ღირებულება (მლნ ლარი)                  | 834  | 1,331 | 2,053 | 2,717 | 3,427 |
| ამონაგები კაპიტალზე (ROE) (%)                 | -19% | 18%   | 18%   | 13%   | 12%   |
| ამონაგები აქტივებზე (ROA) (%)                 | 4%   | 6%    | 7%    | 6%    | 7%    |
| ვალის ჯამურ აქტივებზე შეფარდება (D/(D+E)) (%) | 91%  | 83%   | 77%   | 71%   | 66%   |
| პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი                | 0.7  | 2.1   | 2.6   | 2.5   | 2.8   |
| მიმდინარე კოეფიციენტი (CR)                    | 2.1  | 1.6   | 1.2   | 0.8   | 0.5   |
| სწრაფი კოეფიციენტი (QR)                       | 1.9  | 1.4   | 1.1   | 0.6   | 0.4   |

მოცემული ექვსი საწარმოს საბაზისო სცენარის ფინანსურ პროგნოზებზე სხვადასხვა ეკონომიკური შოკების გავლენა აღწერილია ქვემოთ. მოცემულ მსჯელობაში აქცენტი კეთდება ეკონომიკური შოკების სახელმწიფო საწარმოების 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე/კოეფიციენტზე გავლენაზე:

- გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების ნაერთი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო საწარმოების ნაერთი წმინდა ღირებულება; და
- საწარმოთა მოცემული ჯგუფის ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი.

დამატებით ფინანსურ საზომებზე ეკონომიკური შოკების ეფექტი საწარმოების როგორც ნაერთი ასევე ინდივიდუალური მაჩვენებლებისთვის მოცემულია დანართებში.

## დაბალი ზრდის სცენარი


დაბალი ეკონომიკური ზრდა ითვალისწინებს მშპ-ს ზრდას 2%-ით 2021-2022 წლებისთვის, ხოლო 2023-2024 წლებისათვის შესაბამისად - 3.3%-ით და 5.7%-ით. საბაზისო სცენარის სხვა დაშვებები რჩება უცვლელი.

დაბალი ეკონომიკის ზრდის გავლენები ზემოთ აღწერილ საწარმოთა ნაერთ 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე მოცემულია ქვემოთ გრაფიკი 1-3-ში. გავლენა არსებითია, თუმცა, არა იმდენად დიდი, როგორც გაცვლითი კურსის შოკის გავლენა, რომელიც აღწერილია შემდეგ სცენარში.

**გრაფიკი 1. საწარმოთა წმინდა მოგების კლება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარისთვის**


*მოცემულ სცენარში დაბალი ეკონომიკური ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 25-30 მილიონი ლარის ოდენობით.*

*მოსალოდნელია რომ წმინდა მოგება გაჯანსაღდება შემდგომ წლებში და მიაღწევს დადებით ნიშნულს 2024 წლისათვის.*




**გრაფიკი 2. სახელმწიფო საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარის პირობებში**

დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში სახელმწიფო საწარმოთა წმინდა ღირებულება საბაზისო სცენართან შედარებით 2021 წლისათვის მცირდება დაახლოებით 20 მილიონი ლარით. წმინდა ღირებულებით გამოწვეული დანაკარგი კიდევ უფრო კლებულობს მომდევნო წლებში.



**გრაფიკი 3. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობა დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში**

დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი მცირედით იზრდება მომდევნო წლებში კლების ტენდენციით.



**გაცვლითი კურსის შოკის სცენარი**


გაცვლითი კურსის შოკის სცენარში ლარის გაუფასურება სხვა ვალუტების მიმართ 2021 წლისთვის შეადგენს დაახლოებით 35%-ს და შემდგომ მცირე გაჯანსაღებით.

გაცვლითი კურსის შოკის გავლენა საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული ასახულია ქვემოთ მოცემულ 4-6 გრაფიკებში. ვინაიდან საწარმოებს 7,200.0 მილიონ ლარამდე ვალი აქვთ და მათი უდიდესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (ძირითადად დოლარსა და ევროში), გაცვლითი კურსის შოკის ნეგატიური ეფექტი ძალიან დიდია. როდესაც ლარი უფასურდება, სესხების მომსახურების ხარჯებიც პროპორციულად იზრდება.

ვინაიდან, რამდენიმე საწარმო შემოსავალს იღებს უცხოურ ვალუტაში (მაგ. ნავთობისა და გაზის კორპორაცია), გაცვლითი კურსის გაუფასურების ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია.

**გრაფიკი 4. საწარმოთა წმინდა მოგების შემცირება გაცვლითი სავალუტო კურსის შოკის პირობებში**


გაცვლითი კურსის შოკს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საწარმოთა წმინდა მოგებაზე გადასახადების შემდეგ. აღნიშნული შოკის პირობებში მოსალოდნელია, რომ წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ შემცირდება თითქმის 2 300 მილიონ ლარამდე. ასეთი მოცულობის ეფექტი გამოწვეულია სახელმწიფო საწარმოების სესხების უცხოურ ვალუტაში დენომინირებით. სახელმწიფო საწარმოების გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირებული მოცულობა შეადგენს მშპ-ს 5%-ს.



**გრაფიკი 5. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება გაცვლითი კურსის შოკის პირობებში**

გაცვლითი კურსის შოკი იწვევს საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირებას დაახლოებით იგივე მოცულობით, რითაც გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების და შეადგენს დაახლოებით 2 200 მილიონ ლარს.

წმინდა ღირებულების შემცირების უდიდესი ნაწილი მუდმივია. წმინდა






ღირებულების მაჩვენებლის  
ნაწილობრივი გაუმჯობესება  
მოსალოდნელია, იქედან  
გამომდინარე, რომ  
ნაგულისხმევია ლარის  
მცირედით გაჯანსაღება  
ძირითადი შოკის შემდეგ.

**გრაფიკი 6. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა  
გაცვლითი კურსის შოკის პირობებში**

სახელმწიფო საწარმოთა  
ვალის ჯამურ აქტივებთან  
თანაფარდობის კოეფიციენტი  
გაცვლითი კურსის შოკის  
რეალიზების პირობებში  
იზრდება 25%-ზე მეტად.

საბაზისო სცენარში, ვალის  
ჯამურ აქტივებთან  
თანაფარდობის  
კოეფიციენტის მაჩვენებელი  
სახელმწიფო საწარმოთათვის  
შეადგენს 91%-ს 2020  
წლისთვის. გაცვლითი  
კურსის შოკი იწვევს ამ  
მაჩვენებლის ზრდას 100%-ზე  
მეტად, რაც მიანიშნებს რომ  
სახელმწიფო საწარმოების  
ვალი აჭარბებს მათი  
აქტივების მოცულობას.



**საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი**


საპროცენტო განაკვეთის სცენარი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის ზრდას 4.7%-ით 2021 წლისთვის და შემდგომ გაზრდილი მაჩვენებლის შენარჩუნებას, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში.

საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე ასახულია ქვემოთ მოცემულ 7-9 გრაფიკებში. უარყოფითი შედეგი არსებითია, თუმცა, ახლოსაც ვერ მიდის გაცვლითი კურსის შოკით გამოწვეულ შედეგებთან. ვინაიდან საწარმოთა უმეტეს ნაწილს სესხების პორტფელის უდიდესი წილი აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, საპროცენტო განაკვეთის

ზრდის ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია და შესაბამისად საწარმოები დაცულები არიან საპროცენტო განაკვეთების ზრდის რისკისგან.


**გრაფიკი 7. საწარმოთა გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო**

საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 60 მილიონი ლარის ფარგლებში, კლება მუდმივია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.




**გრაფიკი 8. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო**

საპროცენტო განაკვეთის შოკის რეალიზების გამო საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 160 მილიონი ლარით. შოკის შედეგად გამოწვეული დანაკარგი წმინდა ღირებულებაში მუდმივია.



**გრაფიკი 9. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარის გათვალისწინებით**

საპროცენტო განაკვეთი შოკი იწვევს საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის უმნიშვნელო ზრდას.




## კომბინირებული შოკის სცენარი

კომბინირებული შოკის პირობებში, სამივე მაკროეკონომიკური მაჩვენებელი (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები) ერთდროულად განიცდის შოკს, თითოეული შოკის დიაპაზონი და ხანგრძლივობა იგივეა, რაც აღწერილია წინა სცენარებში.

კომბინირებული შოკების გავლენა სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ მახასიათებლებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, უმეტესწილად, როგორც უკვე აღვწერეთ, გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ 10-12 გრაფიკებში.


**გრაფიკი 10. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება კომბინირებული შოკების სცენარისთვის**

დაბალი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის გაუფასურების და მაღალი საპროცენტო განაკვეთის კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოთა წმინდა მოგებაზე. კომბინირებული შოკის პირობებში დაგეგმილი წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 2 300 მილიონი ლარით. აღნიშნული კლება შეადგენს მშპ-ს 5%-ს.




**გრაფიკი 11. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება კომბინირებული შოკის სცენარისთვის**

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 2 300 მილიონი ლარით. წმინდა ღირებულების დანაკარგის ნაწილობრივი გაჯანსაღება შემდგომ პერიოდში ლარის ეტაპობრივი გამყარებით.



**გრაფიკი 12. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა კომბინირებული შოკის სცენარისთვის**

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით 30%-მდე. საბაზისო სცენარში, საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 91%-ს 2021 წლისთვის. კომბინირებული ეკონომიკური შოკი იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას 100%-ზე მეტად.




**ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარი**

ამ უკანასკნელ სცენარში აღვწერთ კიდევ უფრო მწვავე მშპ-ს შოკის შედეგებს, რაც გულისხმობს მშპ-ს -5%-მდე და -2%-მდე შემცირებას 2021-2022 წლისთვის, ხოლო შემდგომ 2 წელში კი მნიშვნელოვნად გაჯანსაღებას.


**გრაფიკი 13. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირება ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარისთვის**

ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარის პირობებში საწარმოთა წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 90 მილიონი ლარით. მაჩვენებელი სტაბილურდება 2023 წლიდან.




**გრაფიკი 14.** საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარისთვის

ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარის პირობებში საწარმოთა წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 110 მილიონი ლარით.



**გრაფიკი 15.** საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლის სცენარისთვის

ეკონომიკურ შოკს მცირე ეფექტი აქვს სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებზე თანაფარდობის კოეფიციენტის მაჩვენებელზე.



## დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები გეგმავენ მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას შემდგომი 5 წლისთვის, მათი ვალების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის (საშუალოდ 78%) მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მათზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური შოკები. მათი ჯამური ვალის - 7,200 მლნ ლარის უმეტესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს, რომ საწარმოები და მათი მფლობელი (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ ძალიან მოწყვლადები არიან.

წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ მომენტისთვის არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რისკი, რომლის წინაშეც მოცემულ საწარმოთა ჯგუფი დგას. განხილული ექსიცივე საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის ცვლილებაზე. მოცემული ანალიზი მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა ძალიან დიდია საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე: გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირება და წმინდა ღირებულების შემცირება შეადგენს დაახლოებით 2,300 მლნ ლარს, ხოლო კომპანიების ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი იზრდება 25%-ზე მეტად. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების უარყოფითი ცვლილება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 5%-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის რეალიზაციის შემთხვევაში გარდა დაგეგმილი საბიუჯეტო შენატანებისა, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 2,300 მლნ ლარის შენატანების განხორციელება აღნიშნულ საწარმოებში, რაც დამატებითი ფინანსურ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საწარმოები გაცვლითი კურსის გაუფასურებისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლებად რეაგირებენ ეკონომიკურ დაღმასვლებზე და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებზე. მიუხედავად ამისა, საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგი მაინც არსებითია და წმინდა მოგებაში 140 მილიონ ლარამდე ამცირებს. ასევე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური დაღმასვლა, საპროცენტო განაკვეთის ზრდა კორელირებული და კომბინირებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს, როგორც აღწერილია მოცემულ ანალიზში.

## სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა

საქართველოში სახელმწიფო საწარმოებს გააჩნიათ პოტენციალი შეასრულონ წამყვანი როლი ეკონომიკის გარკვეული დარგების განვითარებაში, სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დაცვაში.

მეორე მხრივ, სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენენ ფისკალური რისკების ერთ-ერთ მსხვილ წყაროს. აღნიშნული შესაძლოა გამოხატული იყოს საწარმოთა არაჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის გამო ცენტრალური ხელისუფლების/ადგილობრივი მთავრობის მიერ საწარმოებში კაპიტალშენატანების ზრდით და შემდგომში საწარმოთა აკუმულირებული ზარალის მთავრობის ვალად გარდაქმნის რისკებით.

უკანასკნელ წლებში საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი დივიდენდების წილი არაარსებითაა და შესაბამისად არც ხდება მათი გათვალისწინება საპროგნოზო შემოსავლებში. ეს მოვლენა შეგვიძლია ჩავთვალოთ ფისკალური რისკის რეალიზებად. ამასთან, არსებობს პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდოს საწარმოთა მიერ გადახდილი დივიდენდები სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამრიგად, სახელმწიფო საწარმოთა სექტორის რეფორმირება უმნიშვნელოვანესია.

### რა შედეგებს უნდა ველოდოთ რეფორმისგან?

სანამ განვიხილავთ სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ძირითად კომპონენტებს, მნიშვნელოვანია გვეხსენებინა წარმოდგენა რა შედეგებს უნდა ველოდოთ რეფორმისგან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული კვლევის<sup>9</sup> მიხედვით (109 ქვეყანა), სახელმწიფო საწარმოების ROE საშუალოდ 1%-ია, ხოლო კერძო სექტორის საწარმოთა ROE - 8%. რეფორმების განხორციელების შემდეგ, სახელმწიფო საწარმოთა ROE კერძო სექტორის მაჩვენებლის დაახლოებით 90 პროცენტზე მეტს უტოლდება.

ზემოთ აღწერილ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში სახელმწიფო საწარმოებს გააჩნიათ პოტენციალი მათი ROE ნეგატიური მაჩვენებლიდან გაიზარდოს 5-10%-მდე, რაც ნიშნავს ყოველწლიურად სახელმწიფო საწარმოთა ჯამურ წმინდა მოგებას საშუალოდ **300-500** მილიონ ლარს შორის.

### სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის კონცეფცია

ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალური რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის და რეპორტირების მიმართულებით. ფისკალური რისკების ეფექტური მართვისა და თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია კომპლექსური რეფორმა. ამ მიმართულებით ფინანსთა სამინისტროში უკვე დაწყებულია მუშაობა. ამ პროცესში ფინანსთა სამინისტრო თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

დღეისათვის სახელმწიფო საწარმოთა მართვა ხორციელდება დარგობრივი პოლიტიკის გამტარებელი უწყებების მიერ, თუმცა, სახელმწიფო არცერთ შემთხვევაში არ მოქმედებს როგორც აქციონერი, რომლის უპირველესი მიზანია საწარმოს მოგების მაქსიმიზაცია. აქციონერის ფუნქციის არარსებობის პირობებში,

<sup>9</sup> <https://www.imf.org/~media/Files/Publications/fiscal-monitor/2020/April/English/ch3.ashx?la=en>

მივდივართ არაეფექტურ გადაწყვეტილებებამდე, რაც უკვე სახეზე გვაქვს საწარმოთა ფინანსური შედეგების სახით. დარგობრივი სამინისტროს მიერ იმავე დარგის საწარმოს ფლობა მიჩნეულია ცუდ პრაქტიკად სხვადასხვა დონეზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის გამო. მაგალითისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ენერჯეტიკის სექტორში მომუშავე საწარმოების ფლობა არღვევს კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპებს.

რეფორმის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს როგორც რეგულატორის/აქციონერის როლის გაჩენაში. ვთვლით, რომ სწორედ ამ რგოლის არარსებობაა სახელმწიფო საწარმოთა არაეფექტურობის მთავარი მიზეზი. ამ რგოლის გაჩენა შექმნის წონასწორობას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოთა ეფექტურ მართვას. რეფორმა ეყრდნობა 5 სვეტს:

- **საწარმოთა კომერციალიზაცია:**
  - სახელმწიფო საწარმოთა უპირველეს ამოცანად განისაზღვრება მოგებაზე ორიენტირებულობა;
  - შეიზღუდება მათი ჩართვა სოციალურ და არამომგებიან პროექტებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული იქნება სრულად და გამჭვირვალედ კომპენსირებული.
- **საწარმოებში დაინერგება კორპორაციული მართვის სტანდარტები OECD-ს პრინციპებზე დაყრდნობით**
  - გაიმიჯნება სახელმწიფოს, როგორც აქციონერისა და კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოების როლები, ისე, რომ საბჭომ იმოქმედოს აქციონერის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
  - დარეგულირდება საწარმოებში დასაქმების და ანაზღაურების პოლიტიკა.
- **განისაზღვრება სახელმწიფო საწარმოთა ფლობის პოლიტიკა და რაციონალობა**
  - შეფასდება სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ სექტორში საწარმო(ებ)ის ფლობის შენარჩუნების საჭიროება;
  - შეფასდება საწარმოს არასრულად ფლობის რაციონალურობა, მაგ. 100%-ის ნაცვლად 50%.
- **სახელმწიფო დაიწყებს საწარმოთა სტრატეგიულ მართვას;**
  - საწარმოებს დაუწესდებათ მიზნობრივი ფინანსური და არაფინანსური KPI-ები;
  - ფისკალური რისკების იდენტიფიცირებიდან, ანალიზიდან და რეპორტირებიდან, ფინანსთა სამინისტრო გადავა ფისკალური რისკების მართვასა და თავიდან აცილებაზე;
  - შესრულების მაჩვენებლები კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებისთვის გახდება სანქციების/წახალისების საფუძველი.
- **გაანალიზდება და შემუშავდება ნორმები საწარმოთა კონკურენტული ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად;**
  - სახელმწიფოს მიერ საწარმოს ფლობა არ უნდა ანიჭებდეს კომპანიას რაიმე სახის უპირატესობას, ან პირიქით;



- თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ კერძო სექტორის კომპანია იქნება უფრო ეფექტური, სახელმწიფოს არ უნდა გააჩნდეს ბაზარზე კერძო სექტორის შემოსვლის შემაკავებელი მექანიზმები.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აქციონერის/რეგულატორის ფუნქციებს ასრულებს ერთი ცენტრალური ორგანო. ასეთ ორგანოდ ქვეყნების დიდ ნაწილში (ავსტრალია, ახალი ზელანდია, შვედეთი და სხვ.) განსაზღვრულია ფინანსთა სამინისტრო, როგორც ფისკალურ სტაბილურობაზე პასუხისმგებელი ორგანო.

## კორპორაციული მართვის არსებული პრაქტიკები სახელმწიფო საწარმოებში

სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენენ როგორც ქვეყნის, ასევე გლობალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. საქართველოში სახელმწიფო საწარმოები ძირითადად წარმოდგენილი არიან სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ, კომუნალური მომსახურების, ენერჯეტიკის და ჯანდაცვის სექტორებში. ამრიგად, სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის პრაქტიკების არსებობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრად განვითარებაში მათი კონტრიბუციის მაქსიმიზაციისთვის. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მთავრობის პოლიტიკა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მისაღებად კვლავაც გადამწყვეტი პრე-რეკვიზიტია კორპორაციული მართვის პრაქტიკების არსებობა.

სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის პრაქტიკები ჩვენს მიერ შეფასდა კორპორაციული მართვის შესახებ OECD-ს სახელმძღვანელოს რეკომენდაციების მიხედვით. შეფასება განხორციელდა კორპორაციული მართვის 7 ძირითადი კომპონენტის მიხედვით:

- I. სახელმწიფო საწარმოთა ფლობის რაციონალობა;
- II. მთავრობის, როგორც საწარმოს მფლობელის როლი;
- III. კონკურენტული ნეიტრალურობა;
- IV. საწარმოთა სხვა აქციონერებთან და ინვესტორებთან ერთგვაროვანი მიდგომა;
- V. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა და ბიზნეს საქმიანობის პასუხისმგებლობიანად წარმართვა;
- VI. ანგარიშგება და გამჭვირვალობა;
- VII. სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების პასუხისმგებლობები

## სახელმწიფო საწარმოთა ფლობის რაციონალობა


სახელმწიფო საწარმოების ფლობის უფლებას ახორციელებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო აფასებდეს, ასაჯაროებდეს და პერიოდულად გადახედავდეს იმ მიზნებს, რომლებიც ამართლებენ საწარმოების სახელმწიფო მფლობელობას. სახელმწიფოს მიერ საწარმოების ფლობის საბოლოო მიზანი უნდა იყოს საზოგადოებისთვის მაქსიმალური ღირებულების შექმნა რესურსების ეფექტიანი განაწილების გზით. კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო საწარმოების ფლობის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ საწარმოების ფლობის რაციონალურ საფუძვლებს, სახელმწიფო

საწარმოების მართვაში სახელმწიფოს როლს, ფლობის პოლიტიკის განხორციელების წესს, მათ შორის, მის განხორციელებაში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების როლებსა და პასუხისმგებლობებს. ფლობის პოლიტიკა უნდა იყოს საჯარო და ექვემდებარებოდეს მთავრობის მიერ რეგულარულ გადახედვას, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების გზით. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სახელმწიფო საწარმოების ფლობის რაციონალური საფუძვლები და პერიოდულად გადახედოს მათ. საჯარო პოლიტიკის მიზნები, რომელთა მიღწევაც მოეთხოვება ცალკეულ სახელმწიფო საწარმოს, თუ სახელმწიფო საწარმოების ჯგუფს, მკაფიოდ უნდა იყოს დადგენილი და გასაჯაროებული შესაბამისი უწყებების მიერ.

სახელმწიფოს მიერ ჯერჯერობით არ არის შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად განსაზღვრავდა ფლობის პოლიტიკის რაციონალურ საფუძვლებსა და პრიორიტეტებს, საჯარო სერვისების მიწოდებისა თუ სტრატეგიულ მიზნებს (ცალკეული საწარმოების სახელმწიფო მფლობელობაში შენარჩუნება), სახელმწიფოს ხედვასა და გეგმებს სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

## მთავრობის, როგორც საწარმოს მფლობელის როლი

საწარმოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის როლები. ამ მომენტისთვის სახელმწიფო პრაქტიკულად არ ახორციელებს აქციონერის როლს, რაც შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფო საწარმოების არაეფექტურობის ერთ-ერთ მიზეზად. აქციონერის როლის არ არსებობა სრულად არღვევს კორპორაციულ მართვას მმართველობის ყველა დონეზე. საერთაშორისო სტანდარტის თანახმად



სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს, როგორც ინფორმირებული და აქტიური აქციონერი, უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის ავტონომიურობას, პატივს სცემდეს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობას და თავს იკავებდეს მართვაში ინტერვენციისგან (არ უნდა ერეოდეს საწარმოს საქმიანობის საოპერაციო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში). სახელმწიფოს, როგორც აქციონერის ძირითადი პასუხისმგებლობებია: იყოს წარმოდგენილი აქციონერთა საერთო კრებაზე და ეფექტურად ახორციელებდეს ხმის უფლებას, შეიმუშავებდეს ბორდის წევრების ნომინირების კარგად სტრუქტურირებულ, დამსახურებაზე დაფუძნებულ, გამჭვირვალე პროცედურას და აქტიურად მონაწილეობდეს მასში, მხარს უჭერდეს ბორდის შემადგენლობის მრავალფეროვნებას, განსაზღვრავდეს სახელმწიფო საწარმოების ბორდის წევრების ანაზღაურების პოლიტიკას, შეიმუშავებდეს ინფორმაციის საჯაროობის კრიტერიუმებსა და გამჭვირვალობის პოლიტიკას, ასევე ანგარიშგების სისტემას საწარმოს საქმიანობის კორპორაციული მართვის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და ბორდის

საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული აღნიშნული პრინციპების უმრავლესობა არ არის დაცული განხილული საწარმოების შემთხვევაში.

## კონკურენტული ნეიტრალურობა

ამ ეტაპისთვის არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობას, მათ შორის უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ ნეიტრალურობას. დარგობრივი მართვის პირობებში იქმნება კონკურენტული ნეიტრალურობის დარღვევის რისკები.

## საწარმოთა სხვა აქციონერებთან და ინვესტორებთან ერთგვაროვანი მიდგომა

ამ ნაწილში არ დასტურდება რაიმე არაეფექტურობა. თუმცა, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომში არაერთგვაროვანი მიდგომების თავიდან აცილებას.

იმ შემთხვევაში თუ საწარმოს ერთადერთი მფლობელი არ არის სახელმწიფო და მას ჰყავს სხვა აქციონერიც, კორპორაციული მართვის შესახებ OECD-ის სახელმძღვანელოს რეკომენდაციების მიხედვით, სახელმწიფომ და საწარმომ უნდა უზრუნველყონ ყველა აქციონერის სამართლიანი მოპყრობა და მათთვის კორპორაციულ ინფორმაციაზე თანაბარი წვდომა.

ქვეყანაში უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო წარმოადგენს აქციების 100%-იანი წილის მფლობელს, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

მაგ., სს „საქრუსენერგო“, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით ელექტროენერჯის გადაცემას საქართველოს ტერიტორიასა და მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენი 50%-იანი წილის - რუსეთის ფედერაცია. კომპანიას აქვს წესდება, სადაც გაწერილია აქციონერთა უფლებები/მოვალეობები, ასევე, ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 6 წევრისგან, მათგან 3 წარმომადგენელი - საქართველოს მხრიდან, 3 წარმომადგენელი - რუსეთის მხრიდან. აღნიშნულზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამართლებრივად ყველა აქციონერის მიმართ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა.

## დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა და ბიზნეს საქმიანობის პასუხისმგებლობიანად წარმართვა

არ არსებობს ჩარჩო, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობას, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული და საჯაროდ ხელმისაწვდომი საწარმოთა პასუხისმგებლობები დაინტერესებულ მხარეების მიმართ. რაც ზრდის რისკებს საწარმოთა რესურსები მიიმართოს პოლიტიკური ან სხვა არამიზნობრივი აქტივობების დასაფინანსებლად.

## ანგარიშგება და გამჭვირვალობა

სახელმწიფო საწარმოებზე ვრცელდება ანგარიშგების იგივე სტანდარტები, რაც იგივე მასშტაბის კერძო კომპანიებზე. ქვეყანაში მსხვილი სახელმწიფო საწარმოების აუდიტს ახორციელებენ რეპუტაციული აუდიტორული კომპანიები, შესაბამისად, ამ მხრივ ხარისხზე კითხვისნიშანი არ არსებობს.

თუმცა, სახელმწიფო საწარმოებს უნდა მოეთხოვებოდეთ გამჭვირვალობის უფრო მაღალი სტანდარტი, რომელიც ფინანსური ანგარიშგების გარდა უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის საჯაროობას:

- საწარმოს მიზნების და აღნიშნულის მიღწევის შესახებ ინფორმაცია;
- საწარმოს მართვის, ფლობის და აღნიშნულთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - კორპორაციული მართვის კოდექსი, შიდა პოლიტიკის დანერგვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები;
- ბორდის წევრების და დირექტორების ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;
- ბორდის წევრების შერჩევის პროცედურები, მათი კვალიფიკაცია;
- არსებითი რისკები და მათი თავიდან აცილების გზები;
- მთავრობისგან მიღებული ნებისმიერი ფინანსური დახმარება ან გარანტიები, ვალდებულებები PPP კონტრაქტებში;
- მსხვილი ტრანზაქციები;
- ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია რაც დაკავშირებულია საწარმოს თანამშრომლებთან ან დაინტერესებულ მხარეებთან.

ასეთი სახის რეპორტირება უნდა ხორციელდებოდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ და უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი

## სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების პასუხისმგებლობები

სახელმწიფო საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოს (ბორდის) წევრების შერჩევის, დანიშვნის, შემადგენლობის, კომპეტენციების და ფუნქციების შესაფასებლად განვიხილეთ სს საპარტნიორო ფონდის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული რამდენიმე საწარმო. ამ საწარმოებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მოვახდინოთ ბორდის პრაქტიკების გენერალიზება მთლიანად სექტორისთვის.

პირველადი შეფასება მოვახდინეთ ქვემოთ მოცემულ კითხვარზე დაყრდნობით:

| დამოუკიდებლობა/შემადგენლობა   |     |
|---|-----|
| არიან თუ არა დამოუკიდებელი წევრები <sup>10</sup> სამეთვალყურეო საბჭოებში? | არა |

<sup>10</sup> დამოუკიდებელი წევრი - პირი, რომელსაც არ აქვს რაიმე სახის მატერიალური ან პირადი ინტერესი სახელმწიფო საწარმოსთან/მმართველ რგოლთან/აქციონერებთან მიმართებით, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მისი ობიექტურობა.

|  |  |
|--|--|
| პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, დამოუკიდებელი წევრები მუშაობენ თუ არა იმავე ან სხვა სახელმწიფო საწარმოში?                            | N/A  |
| იკავებენ თუ არა მოქმედი ან ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას?   | დიახ, ყველა შემთხვევაში.   |
| <b>კომპეტენციები</b>   |  |
| შედიან თუარა სამეთვალყურეო საბჭოში პირები სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილებით?   | არა ან მხოლოდ სახელმწიფო სექტორში გამოცდილებით                       |
| შედიან თუარა სამეთვალყურეო საბჭოში პირები ფინანსებში მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილებით?  | არა  |
| შედიან თუარა სამეთვალყურეო საბჭოში პირები საწარმოს დარგში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილებით?  | დიახ   |
| შედიან თუარა სამეთვალყურეო საბჭოში პირები იმავე ზომის ან უფრო დიდი მასშტაბის კომპანიაში მართვის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილებით?                     | არა  |
| შედიან თუარა სამეთვალყურეო საბჭოში პირები ფინანსურ მენეჯმენტში, ანალიზში, აუდიტსა და სხვა შესაბამისი კომპეტენციებში მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილებით? | არა  |
| <b>ჩართულობა</b>   |  |
| წელიწადში რამდენჯერ იკრიბება ბორდი?  | საშუალოდ 2-3-ჯერ. თუმცა, არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭო ქმედითია |
| აფასებს თუარა ბორდი თავის საქმიანობას?   | არა, ან ფორმალურად   |
| <b>შერჩევა</b>   |  |
| არის თუარა განსაზღვრული ბორდის წევრის შერჩევის წესი და ხდება თუარა ამ წესის გათვალისწინება?  | არ არსებობს ცენტრალიზებული, გამჭვირვალე პროცედურა.                   |

|   |  |
|---|--|
| ცხადდება თუარა ღია კონკურსი ბორდის წევრის შერჩევის მიზნით?  | არა  |
| ბორდის წევრების შერჩევის კომისია შეიცავს თუარა დამოუკიდებელ წევრს?  | არა  |
| ქვეყნდება თუარა ინფორმაცია შერჩეული ბორდის წევრის შესახებ?  | მსხვილი საწარმოების ვებ-გვერდებზე წარმოდგენილია ბორდის წევრების სულ მცირე სახელი-გვარები. ამასთან, ბორდის წევრის შერჩევის შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება.                         |
| <b>ფუნქციები</b>  |  |
| შედის თუარა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება, ხელფასის და სხვა პირობების განსაზღვრა?   | ეს ფუნქციები ბორდს განსაზღვრული აქვს სამართლებრივად. თუმცა, მაღალი ალბათობით აღნიშნული ატარებს ფორმალურ ხასიათს.   |
| შედის თუარა საბჭოს ფუნქციაში კომპანიის ბიზნეს სტრატეგიის დამტკიცება და აღნიშნულის შესრულების მონიტორინგი?   | ეს ფუნქცია ბორდს განსაზღვრული აქვს სამართლებრივად. თუმცა, მაღალი ალბათობით აღნიშნული ატარებს ფორმალურ ხასიათს.   |
| <b>კომიტეტები</b>   |  |
| არსებობს თუარა ანაზღაურების კომიტეტი?   | ამ ეტაპზე არცერთ საწარმოში არ არსებობს, ან არ არის ქმედითი. ამ მხრივ, მოსალოდნელია, რომ სს “სახელმწიფო ელექტროსისტემაში” დადგება ანაზღაურების კომიტეტის შექმნის პირველი პრეცედენტი |
| თუ პირველ კითხვაზე პასუხი დადებითია, რამდენი წევრი შედის, არიან თუარა დამოუკიდებელი წევრები კომიტეტში? დამტკიცებულია თუა არა კომიტეტის საოპერაციო საქმიანობის წესი? | N/A  |
| არსებობს თუარა აუდიტის კომიტეტი?  | აუდიტის კომიტეტის არსებობა დასტურდება საქართველოს რკინიგზაში.  |
| თუ ზედა კითხვაზე პასუხი დადებითია, რამდენი წევრი შედის, არიან თუარა დამოუკიდებელი წევრები კომიტეტში? დამტკიცებულია თუა არა კომიტეტის საოპერაციო საქმიანობის წესი?   | N/A  |

- კომპანიების ნაწილში უმაღლეს მმართველობით ორგანოდ წარმოდგენილია პარტნიორთა კრება, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს დარგობრივი სამინისტრო. პარტნიორთა კრებას ხელმძღვანელობს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი უფლებამოსილია დაიკავოს თანამდებობა იმავე სსიპ-ის მართვაში არსებულ საწარმოში;
- სს საპარტნირო ფონდი წარმოადგენს ნავთობისა და გაზის კორპორაციის და საქართველოს რკინიგზის 100%-იან წილის მფლობელს, ასევე 2020 წლამდე წარმოადგენდა “ესკო-ს” და სსე-ს” 100%-იანი წილის მფლობელს. თუმცა, პრაქტიკაში ფონდი არ მოქმედებს როგორც ჩამოთვლილ საწარმოთა აქციონერი და მათი მართვა ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დარგობრივ ჭრილში;
- ისეთ საწარმოების წესდებებში ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, სადაც არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, მკაფიოდ არის გაწერილი სამეთვალყურეო საბჭოს როლი, ასევე გამიჯნულია კომპანიის მენეჯმენტის როლი, მხოლოდ ამ ნაწილში შეიძლება ჩაითვალოს რომ სახეზეა კორპორაციული მართვის კარგი ჩარჩო.
- არ არსებობს ბორდის წევრების/აღმასრულებელი დირექტორების შერჩევის ცენტრალიზებული და გამჭვირვალე პროცედურები, ანაზღაურების პოლიტიკა, ასევე, ბუნდოვანია ბორდის წევრების მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი დამოუკიდებლობის ხარისხი;
- საწარმოებში არ არსებობს გამჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა, რაც ქმნის დიდ სივრცეს არაეფექტურობისთვის. ამასთან, გამჭვირვალე პოლიტიკის პირობებში, კომერციულ სახელმწიფო საწარმოში ხელფასები უნდა იყოს გათანაბრებული კერძო სექტორთან.

## დასკვნა

სახელმწიფო საწარმოების სექტორში კორპორაციული მართვა ფრაგმენტულია ან საერთოდ არ არსებობს. კორპორაციული მართვის ყველა კომპონენტი ურთიერთდაკავშირებულია და ერთ ნაწილში ხარვეზი გადაეცემა მთლიანად მთელ სისტემას.

რამდენადაც მასშტაბურია პრობლემები, კორპორაციულ მართვაში მცირე გაუმჯობესებამაც კი უნდა გამოიწვიოს დადებითი ძვრები საწარმოთა შედეგებში. ამრიგად, სახელმწიფო საწარმოთა სექტორის რეფორმის დაწყება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კორპორაციული მართვის პრაქტიკების დანერგვის თვალსაზრისით სახელმწიფო საწარმოების სექტორში შეინიშნება დადებითი ძვრები. სს “სახელმწიფო ელექტროსისტემა” ამ მომენტში რეფორმირების ეტაპზეა. ამ პროცესს მხარს უჭერს აზიის განვითარების ბანკი. კომპანიაში უკვე შემუშავებულია:

- კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის კორპორაციულ მართვაში ჩართული პირების როლებს. აღნიშნული შესაბამისობაშია OECD-ს კორპორაციული მართვის პრინციპებთან;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული სხვადასხვა კომიტეტების დებულებები;

- რისკის მართვის პოლიტიკა;
- ვალის მართვის სტრატეგია.

შეიძლება ითქვას, რომ “სსე” წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის პილოტ საწარმოს. შესაბამისად, სსე-ში წარმატების მიღწევა, მთლიანად სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის წარმატებულად განხორციელების საწინდარია. ამიტომ, სსე-ში მიმდინარე პროცესების სწორად წარმართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

რეფორმირების ეტაპზეა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქცენტები კეთდება საოპერაციო დონეზე არსებულ არაეფექტურობებზე. აქაც, ისევე როგორც სსე-ს შემთხვევაში, ხორციელდება რეფორმის პილოტირება. ცნობისთვის, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის პროცესში, სსე მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო წყალმომარაგების კომპანია - სამთავრობო სექტორს.

## ენერგეტიკის სექტორში მოქმედი სახელმწიფო საწარმოები

საქართველოში განსაკუთრებული კომპლექსურობით ხასიათდება და დამატებით ფუნქციურ ანალიზს საჭიროებს ენერგეტიკის სექტორში მოქმედი საწარმოები.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი შედგება ბაზრის სხვადასხვა მონაწილისგან:

- მწარმოებლები;
- მომხმარებლები;
- გამანაწილებლები;
- იმპორტიორები;
- ექსპორტიორები;
- მარეგულირებელი;
- სხვა მონაწილეები.

მათ ფუნქციებს, სტატუსს, უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

ენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირება მოიცავს შემდეგ ძირითად საქმიანობებს:

- ენერგორესურსების გენერაცია;
- გადაცემა;
- დისპეტჩერიზაცია;
- დისტრიბუცია (განაწილება/მიწოდება).

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის დღემდე არსებული მოდელი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პირდაპირი კონტრაქტების ბაზარი, სადაც ბაზრის მონაწილეები ვალდებულებების



შესრულებას ახორციელებენ ყოველთვიური ანგარიშსწორების საფუძველზე. პირდაპირი კონტრაქტების ბაზართან ერთად ფუნქციონირებს საბალანსო ბაზარი, რაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევს იყიდონ/გაყიდონ დამატებით მოთხოვნილი/გამომუშავებული ელექტროენერგია და დააბალანსონ პირდაპირი კონტრაქტებით აღებული ვალდებულებები. ამასთან, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ფუნქციონირებს გარანტირებული სიმძლავრის ბაზარი, რომელიც ეხმარება გადამცემი სისტემის ოპერატორს უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობა და საიმედოობა.<sup>11</sup>

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი პირობითად შეიძლება დაიყოს საბითუმო და საცალო ბაზრებად. საბითუმო ბაზრის სუბიექტები არიან:

- ელექტროენერგიის მწარმოებლები;
- პირდაპირი მომხმარებლები<sup>12</sup>;
- ექსპორტიორები;
- იმპორტიორები;
- საბითუმო მიმწოდებლები<sup>13</sup>;
- განაწილების ლიცენზიატები (მიწოდების ნაწილში)<sup>14</sup>

ასევე მომსახურების მიმწოდებლები:

- გადამცემი სისტემის ოპერატორი
- ბაზრის ოპერატორი<sup>15</sup>
- გადამცემისა და განაწილების ლიცენზიატები (გატარების – საქსელო მომსახურების ნაწილში).

საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობა უმეტესად ხდება პირდაპირი კონტრაქტების საშუალებით. ელექტროენერგიის გაყიდვა ხორციელდება ელექტროენერგიის მწარმოებლების,

<sup>11</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში, გვ.16

<sup>12</sup> 2019 წელს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესის ხელშეწყობისათვის დაზუსტდა პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი. პირდაპირ მომხმარებლად ჩაითვალა მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების ან გადამცემის ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან, აღნიშნულ ქსელზე (ქსელებზე) მდებარე მიწოდების წერტილებიდან ჯამურად, კალენდარული წლის შედეგებით, საშუალოდ თვიურად მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ამ ტიპის მომხმარებელი სავალდებულო წესით რეგისტრირდება პირდაპირი მომხმარებლის სტატუსით. პირდაპირი მომხმარებელი შეიძლება გახდეს ასევე ნებისმიერი სხვა მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს და ნებაყოფლობით არის რეგისტრირებული საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი.

<sup>13</sup> ელექტროენერგეტიკის ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობენ საბითუმო მიმწოდებლები, რომლებიც ელექტროენერგიას შეისყიდებიან წარმოების ლიცენზიატებისაგან, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისაგან, იმპორტიორებისგან, ხოლო ელექტროენერგიას ყიდიან პირდაპირ მომხმარებლებსა და ექსპორტიორებზე.

<sup>14</sup> სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

<sup>15</sup> სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო).

იმპორტიორის და ესკო-ს, ხოლო შესყიდვა – ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების (მიწოდების ნაწილში), პირდაპირი მომხმარებლების, ექსპორტიორების, ელექტროენერჯის მწარმოებლების (სასადგურო დანახარჯისათვის), ესკო-ს და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის (ელექტროენერჯის ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერჯის შესყიდვის ნაწილში) მიერ. საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობისათვის საჭიროა სუბიექტი დარეგისტრირდეს ბაზრის ოპერატორთან კვალიფიციურ საწარმოდ.<sup>16 17</sup>

საბითუმო ბაზარზე საქსელო და სისტემურ მომსახურებას ახორციელებენ გადაცემის სისტემის ოპერატორი (გსო), გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები. გსო-ს (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები გადამცემი ქსელის აქტივების მფლობელებთან (გადაცემის ლიცენზიატებთან) გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის უფლებამოსილების მისთვის გადაცემის შესახებ. გსო სისტემას ძირითადად მართავს SCADA-ს (საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემა) გამოყენებით და, იმავდროულად, იყენებს ზედა დონის ელექტროენერჯისა და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას (ზედა დონის ესკაა სისტემა).<sup>18</sup>

განაწილების ლიცენზიატები საქსელო, მათ შორის გატარების მომსახურებას ახორციელებენ როგორც მათი, ასევე მესამე პირების საკუთრებაში არსებული ქსელების გამოყენებით. განაწილების ქსელით გატარების მომსახურების ხარჯები განაწილების ლიცენზიატებს უნაზღაურდება კომისიის მიერ დადგენილი „განაწილებისა და გატარების ტარიფით“, ხოლო მესამე პირებს მათი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი უნაზღაურებს „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესაბამისად გაანგარიშებული ოდენობით.<sup>19</sup>

საცალო ბაზარზე მომსახურების მიმწოდებელი ძირითადი სუბიექტები არიან ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები (როგორც საქსელო მომსახურების, ასევე მიწოდების ნაწილში), რომლებიც ელექტროენერჯის ჰყიდვიან საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ დადგენილი ტარიფებით. ისინი ასევე ახორციელებენ საცალო მომხმარებლების საქსელო და სასისტემო მომსახურებას. საცალო ბაზარზე ელექტროენერჯის მიწოდება აგრეთვე შეუძლიათ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, თუმცა მათი მონაწილეობა საცალო ბაზარზე დაბალია, რადგან საცალო მიწოდების სეგმენტში ჯერ ისევ არსებობს გამანაწილებელი

<sup>16</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში, გვ.15, 19, 20.

<sup>17</sup> კვალიფიციური საწარმოებია: წარმოების ლიცენზიატი, განაწილების ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი და იმპორტიორი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური.

<sup>18</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში, გვ.22

<sup>19</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.22

კომპანიების მონოპოლია მიწოდების ნაწილში, რაც გარკვეულ ბარიერს ქმნის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების საცალო ბაზარზე მონაწილეობის თვალსაზრისით.<sup>20</sup>

კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ელექტროენერჯის საცალო ბაზარი მაღალკონცენტრირებულია ( $HHI = 5,544.5$ )<sup>21</sup>, სადაც ყველაზე დიდი საბაზრო წილი (66.5%) გააჩნია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“<sup>22</sup>. რაც შეეხება საბითუმო ბაზარს, 2018 წლის მონაცემებით საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებული იყო ელექტროენერჯის 91 მწარმოებელი, მათ შორის: 5 თბოელექტროსადგური<sup>23</sup>, 2 მარეგულირებელი<sup>24</sup>, 9 ნაწილობრივ დერეგულირებული<sup>25</sup>, 14 დერეგულირებული (ჰიდრო)<sup>26</sup> და 61 მცირე სიმძლავრის (დერეგულირებული) ელექტროსადგური<sup>27,28</sup>. 2018 წელს საბაზრო წილები ელექტროენერჯის სამი უმსხვილესი მწარმოებლისათვის გადანაწილდა შემდეგნაირად: შპს „ენგურჰესისთვის“ – 33.43%; შპს „ვარციხეჰესისთვის“ – 9.96% და შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგურისთვის“ – 9.76% და წარმოების სეგმენტის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა შეადგინა  $HHI_{2018} = 1,596$ . შესაბამისად, გენერაციის სეგმენტი შეიძლება შევაფასოთ, როგორც კონცენტრირებული ბაზარი.<sup>29</sup>

მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი ვითარება კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, რომლის თანახმადაც ელექტროენერჯის განაწილების (მიწოდების) ბაზარი მაღალკონცენტრირებულია ( $HHI_{2019}=5,338$ ), სადაც სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საბაზრო წილი არის 63%, ხოლო სს „თელასის“ – 37%; საბაზრო წილები ელექტროენერჯის სამი უმსხვილესი მწარმოებლისთვის გადანაწილდა შემდეგნაირად: შპს „ენგურჰესი“ – 28.5%, შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“ – 11.3% და შპს „მტკვარი ენერჯი“ – 7.3% და ელექტროენერჯის წარმოების სეგმენტის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა შეადგინა  $HHI_{2019}=1,516$ .<sup>30</sup> შესაბამისად, გენერაციის სეგმენტი შეიძლება შევაფასოთ, როგორც კონცენტრირებული ბაზარი.

<sup>20</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.22

<sup>21</sup> კონკრეტულ ბაზარზე კონკურენციის დონის შესაფასებლად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI). გამოითვლება როგორც ბაზარზე არსებული მონაწილეების საბაზრო წილების (%) კვადრატების ჯამი. HHI ინდექსს შესაძლებელია გააჩნდეს მნიშვნელობა 0-დან 10,000-მდე შუალედში, სადაც 0 ნიშნავს ბაზრის დაბალ კონცენტრაციას (სრულყოფილი კონკურენცია), ხოლო 10,000 – სრულყოფილ მონოპოლიას. ევროკომისიის განმარტებით, თუ HHI აღემატება 1,000-ს, მაშინ ბაზარი არის კონცენტრირებული, ხოლო თუ ინდექსის მნიშვნელობა მეტია 2,000-ზე, მაშინ ბაზარი მაღალკონცენტრირებულია.

<sup>22</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში; გვ.33

<sup>23</sup> თბოელექტროსადგურები: გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი, აირტურბინა, თბილსრესის მე-3 და მე-4 ბლოკები, გარდაბნის თბოელექტროსადგური, ტყიბულის თბოელექტროსადგური.

<sup>24</sup> მარეგულირებელი ელექტროსადგურები: ენგურჰესი, ვარდნილჰესი.

<sup>25</sup> ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები: ხრამი 1, ხრამი 2, შაორი, ძვერული, ჟინვალი, ვარციხე, გუმათი, რიონი და ლაჯანური ჰესი.

<sup>26</sup> დერეგულირებული (13 მგვტ-ზე მეტი საპროექტო სიმძლავრის) ელექტროსადგურები ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით: ორთაჭალჰესი, საცხენჰესი, ზაჰესი, ჩითახეჰესი, ხადორჰესი, აწჰესი, ლარსიჰესი, ფარავანჰესი, დარიალიჰესი, ხელვაჩაური 1 ჰესი, შუახევი ჰესი, კირნათი ჰესი და ოლდენერჯი ჰესი.

<sup>27</sup> მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები (13 მგვტ-ზე ნაკლები საპროექტო სიმძლავრის ელექტროსადგურები) ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით გარეშე: ჯამში 61 ელექტროსადგური.

<sup>28</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში; გვ.36

<sup>29</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში; გვ.36

<sup>30</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.9

2019 წლის მონაცემების მიხედვით, საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებული იყო ელექტროენერჯის 95 მწარმოებელი, მათ შორის: 5 თბოელექტროსადგური<sup>31</sup>, 2 მარეგულირებელი<sup>32</sup>, 9 ნაწილობრივ დერეგულირებული<sup>33</sup>, 15 დერეგულირებული (ჰიდრო)<sup>34</sup>, 64 მცირე სიმძლავრის (დერეგულირებული) ელექტროსადგური<sup>3536</sup>.

ელექტროენერჯის მწარმოებლები, რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა კატეგორიისაა და იყოფიან შემდეგ კატეგორიებად<sup>37</sup>:

- მარეგულირებელი ელექტროსადგურები;
- ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები;
- დერეგულირებული ელექტროსადგურები;
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (თბოელექტროსადგურები).<sup>38</sup>

რაც შეეხება ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის საქმიანობას, დერეგულირებულია და არ საჭიროებს ლიცენზიას. ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანა შესაძლებელია თავისუფალი (კომისიის მიერ განსაზღვრული ტარიფის გარეშე) ფასით, ელექტროენერჯის იმპორტის შემთხვევაში – კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით<sup>39</sup>.

საცალო ბაზარზე საბოლოო მოხმარების სეგმენტი წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების კატეგორიებით. 2016 წლიდან აღნიშნულ კატეგორიებს დაემატა

<sup>31</sup> თბოელექტროსადგურები: გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი, აირტურბინა, თბილისრესის მე-3 და მე-4 ბლოკები, გარდაბნის თბოელექტროსადგური.

<sup>32</sup> მარეგულირებელი ელექტროსადგურები: ენგურჰესი, ვარდნილჰესი.

<sup>33</sup> ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები: ხრამი 1, ხრამი 2, შაორი, ძვერული, ქინვალი, ვარციხე, გუმათი, რიონი და ლაჯანური ჰესი.

<sup>34</sup> დერეგულირებული (13 მგვტ-ზე მეტი საპროექტო სიმძლავრის) ელექტროსადგურები ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით: ორთაჭალჰესი, საცხენჰესი, ზაჰესი, ჩითახეჰესი, ხადორჰესი, აწჰესი, ლარსიჰესი, ფარავანჰესი, დარიალიჰესი, ხელვაჩაური 1 ჰესი, შუახევი ჰესი, კირნათი ჰესი, ოლდენერჯი ჰესი, მესტიაჭალა ჰესი 1 და მესტიაჭალა ჰესი 2.

<sup>35</sup> მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები (13 მგვტ-ზე ნაკლები საპროექტო სიმძლავრის ელექტროსადგურები) ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გარეშე: ჯამში 64 ელექტროსადგური.

<sup>36</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.35

<sup>37</sup> მარეგულირებელი ელექტროსადგურები - ბაზარზე საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით და კომისიის მიერ დადგენილი ფიქსირებული ტარიფებით;

ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები 40 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრით, რომლებიც ბაზარზე საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით და კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფებით;

დერეგულირებული ელექტროსადგურები, რომელთა დადგმული სიმძლავრე აღემატება 13 მგვტ-ს და აშენებულია 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, ბაზარზე საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიით, თუმცა მათ კომისია ტარიფს არ უდგენს. ასევე დერეგულირებული ელექტროსადგურების კატეგორიაში ერთიანდებიან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე 13 მგვტ-მდეა. ასეთი ელექტროსადგურები ბაზარზე საქმიანობენ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის გარეშე და გათავისუფლებული არიან ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიისგან;

გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (თბოელექტროსადგურები), რომლებსაც კომისია უდგენს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფს. აღნიშნული ელექტროსადგურები გამოიყენება ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რომელთაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა გარანტირებული სიმძლავრისა და მათ მიერ გარანტირებული სიმძლავრით სისტემის უზრუნველყოფის პერიოდის მიხედვით ინდივიდუალურად.

<sup>38</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.21

<sup>39</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში, გვ.20

საცალო მომხმარებელი, რომელიც ფლობს განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის (100 კვტ-მდე) ელექტროსადგურს.<sup>40</sup>

ელექტროენერგეტიკის სექტორში მარეგულირებლის ფუნქციას ასრულებს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (შემდგომში კომისია), რომელიც წარმოადგენს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. კომისიას არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა და მათი გაუქმება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის, ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების, აგრეთვე გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენა და რეგულირება;
- ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგი<sup>41</sup>.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების წინაპირობები და „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ შესაბამისი ელექტროენერგეტიკული\_ბაზრის სამიზნე სტრუქტურა.

ელექტროენერგეტიკის სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მეტწილად ლიბერალური, მაგრამ რეგულირებული საბაზრო სტანდარტებით, საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი გადადის თავისუფალი ვაჭრობისა და შემდგომი დერეგულირების ფაზაში. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველს და წინაპირობას წარმოადგენს ქვეყნის მიერ ევროკავშირისა და

<sup>40</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.22

<sup>41</sup> საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტი №6 დადგენილება.

ენერგეტიკული თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება; ასევე იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რითაც ხასიათდება ბაზრის არსებული სტრუქტურა.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ საქართველომ ევროკავშირისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება აიღო. საქართველოს მიერ აღნიშნული მოთხოვნები უნდა შესრულდეს ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმის ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში.

2017 წლის 24 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2016 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი ოქმის რატიფიკაცია ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ, რითაც ქვეყანა გახდა ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. ოქმის საფუძველზე ასევე განისაზღვრა საქართველოს მიერ ენერგეტიკული თანამეგობრობის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ვადები. საქართველოს გაწევრიანება ენერგეტიკულ თანამეგობრობაში ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული სექტორი, აამაღლოს კონკურენცია ბაზარზე და ასევე ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას და ენერგოეფექტიანობას.<sup>42</sup>

ბაზრის სამიზნე სტრუქტურაზე გადასვლისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2019 წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ენერგეტიკის სექტორის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა:

- საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ;
- საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“.<sup>43</sup>

2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია, ხოლო 2020 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“.

აღნიშნული პირველადი კანონმდებლობა და, პირველ რიგში, კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მოიცავს დარგის რეფორმირების მთელ პროცესს და განსაზღვრავს, მათ შორის,

<sup>42</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.23

<sup>43</sup> „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, აგრეთვე დაადგინოს სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში, ასევე ტრანსპორტში. წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.17

- ელექტროენერგეტიკის სექტორში საქმიანობისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გამჭვირვალე და კონკურენტული ელექტროენერჯის ბაზრის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია:
  - ენერგეტიკული საქმიანობის ავტორიზაციასთან;
  - საჯარო მომსახურებასთან;
  - მომხმარებელთა უფლებებთან და მათ დაცვასთან.

საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ასევე აწესრიგებს შემდეგ საკითხებს:

- ელექტროენერგეტიკის სექტორის მართვა და ორგანიზება;
- ელექტროენერგეტიკის სექტორის რეგულირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა;
- ენერგეტიკულ ბაზრებზე თავისუფალი დაშვება.

კანონი ითვალისწინებს ენერგეტიკის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში ევროპის კავშირის სხვადასხვა ენერგეტიკული დირექტივის ტრანსპოზიციას ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>44</sup>

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაშია ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია, რომელიც:

- განსაზღვრავს ბაზრის მომავალ სტრუქტურას;
- ითვალისწინებს ბაზრის სამიზნე მოდელზე ეტაპობრივ გადასვლას 2021 წლიდან;
- აყალიბებს პრინციპებს, რომლებიც მიზნად ისახავს:
  - კონკურენციის განვითარებას როგორც საბითუმო, ასევე საცალო დონეზე;
  - ვერტიკალურად ინტეგრირებული ბაზრიდან<sup>45</sup> გადასვლას ისეთ სტრუქტურაზე, რომელიც სამართლებრივად, ფინანსურად და ფუნქციურად განაცალკევებს გადაცემისა და განაწილების ფუნქციებს მიწოდების, ვაჭრობისა და წარმოებისგან;

<sup>44</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.17

<sup>45</sup> ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო: ელექტროენერგეტიკის სექტორში – ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული საწარმო – ერთი მხრივ, ელექტროენერჯის გადაცემის ან/და განაწილების სულ ცოტა ერთი ფუნქციის და, ამავედროულად, მეორე მხრივ, ელექტროენერჯის წარმოების ან/და მიწოდების სულ ცოტა ერთი ფუნქციის განმახორციელებელი ელექტროენერგეტიკული საწარმო ან ელექტროენერგეტიკულ საწარმოთა ჯგუფი, რომელთა პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლზე უფლებამოსილია/ უფლებამოსილი არიან ერთი და იგივე პირი/პირები. საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ მუხლი 3, პუნქტი 382

- ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებასა და ენერგეტიკულ სიღარიბესთან ბრძოლას და აყალიბებს მოწყვლადი მომხმარებლების<sup>46</sup> სოციალური დაცვის პრინციპებს;
- ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრების ჩამოყალიბებას - მოიცავს ელექტროენერჯის კონკურენტულ ბაზრებს, როგორებიცაა: დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრები.
- საქართველოს რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობას - ითვალისწინებს საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ტრანსსასაზღვრო სავაჭრო პოტენციალის ეფექტიან ათვისებას.

ბაზრის კონცეფციით გათვალისწინებული დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები აძლიერებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მნიშვნელობას, რომელიც ახორციელებს მონიტორინგსა და ურთიერთქმედებას ბაზარზე გამჭვირვალობის, თანასწორობის, მდგრადობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით.<sup>47</sup>

*ელექტროენერჯის ბაზრის სამიზნე სტრუქტურა საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად<sup>48</sup>*


<sup>46</sup> მოწყვლადი მომხმარებელი - საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც მისი სტატუსისა თუ მდგომარეობის გამო, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს სისტემით სარგებლობის ან/და ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი გაზის მიღების ან/და წყალმომარაგებით სარგებლობის უფლება შეღავათიანი პირობებით - საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი „383“.

<sup>47</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.23-24

<sup>48</sup> წყარო: ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია



საქართველოს ელექტროენერჯის გაზრდის ახალი მოდელი და ელექტროენერჯით ვაჭრობის ორგანიზება



ბაზრის ახალი მოდელის სახელმძღვანელი პრინციპებია:

- ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენტული, თავისუფალი და გამჭვირვალე ვაჭრობა;
- ინტერესთა კონფლიქტისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილება;
- საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვა კონკურენტული საბაზრო მექანიზმების მეშვეობით, კერძოდ, ორმხრივი ხელშეკრულებებით ან/და ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზრებზე, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩათვლით;
- საჯარო მომსახურების გამწევი ენერგეტიკული საწარმოებისა და მხარდაჭერის მექანიზმით/სქემით მოსარგებლე მწარმოებლების მიერ წარმოებული ელექტროენერჯით ვაჭრობა მხოლოდ ორგანიზებულ ბაზრებზე;
- წარმოებისა და მოხმარების საათობრივი გრაფიკების, ასევე ელექტროენერჯის წარმოების/მოხმარების საშუალებებისა და მათი დატვირთვის განსაზღვრა მათ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ (თვითდისპეტჩირება);
- ორგანიზებულ ბაზრებზე საათობრივი ვაჭრობა და, შესაბამისად, ბაზრის მონაწილეთა პასუხისმგებლობა მათ მიერ თითოეულ საათში გამოწვეულ უბალანსობაზე;

- სისტემის ოპერატორების მიერ დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერჯის შესყიდვა მხოლოდ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე.<sup>49</sup>

ბაზრის სამიზნე სტრუქტურა მოიცავს ბაზრის ახალ სუბიექტებს:

- საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციას;
- უნივერსალური მომსახურების (საცალო) მიმწოდებელს;
- ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს.

საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია იფუნქციონირებს როგორც ინსტიტუციური მოვაჭრე საჯარო მომსახურების მომხმარებლების სახელით. საჯარო მომსახურების ვალდებულების განმახორციელებელი პირის ამოცანები მოიცავს:

- გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მონაწილე მწარმოებლების მხარდაჭერასა და მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობას; განახლებადი ენერჯის რესურსების წახალისებას;
- სახელმწიფოს მფლობელობაში და სახელმწიფოს მართვაში არსებული გენერაციის ობიექტებს, რომელთაც დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება, მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვის უზრუნველყოფას;
- უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მხარდაჭერას შესასყიდი ელექტროენერჯის სტაბილური ფასის უზრუნველყოფითა და ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობით;

უნივერსალური მომსახურების (საცალო) მიმწოდებელი წარმოადგენს ელექტროენერჯის მიმწოდებელს, რომელიც რეგულირებული პირობებით და ფასით, აწვდის ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო მომხმარებელსა და მცირე საწარმოს.<sup>50</sup>

ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ფუნქციაა დაიცვას მომხმარებელი და მიაწოდოს მას ელექტროენერჯია იმ შემთხვევაში, თუ მისი კონტრაქტორი მიმწოდებელი ამას ვერ ახერხებს. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს შეარჩევს საქართველოს მთავრობა ღია სატენდერო პროცედურაზე დაყრდნობით. ამასთან, დასაშვებია უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის განსაზღვრა ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფს გამჭვირვალე და

<sup>49</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

<sup>50</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N 47 დადგენილება „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ. მუხლი 2, პუნქტი „ბ“.

არადისკრიმინაციული გზით ადგენს კომისია და ასევე ამტკიცებს ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებს.<sup>51</sup>

ენერგეტიკის სექტორში მოქმედი სახელმწიფო საწარმოების ფუნქციური ანალიზი

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გადაცემის ლიცენზიას სამი კომპანია ფლობს: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე), სს „საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“.

*სსე*

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის ერთ-ერთი მსხვილი მფლობელია. სსე-ს გადამცემი ინფრასტრუქტურა შედგება 3 550 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზებისა და 93 ქვესადგურისგან. გადამცემი ქსელი იმართება ქ.თბილისში არსებული ეროვნული



სადისპეტჩერო ცენტრიდან, ხოლო მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ექსპლუატაციის დეპარტამენტის 3 რეგიონული ფილიალი (აღმოსავლეთის, დასავლეთის და კახეთის რეგიონული ქსელები). კომპანია არ აწარმოებს ელექტროენერჯის. სსე უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას. ელექტროენერჯის გადაცემა ხდება ჰიდრო, თბო და ქარის ელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებამდე (სს „თელასი“, სს „ენერგ-პრო ჯორჯია“) და პირდაპირ მომხმარებლებამდე (მსხვილი საწარმოები).

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი:

- ახორციელებს ელექტროენერგეტიკული სისტემის საერთო კოორდინაციას და ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას;
- მართავს მეზობელ სახელმწიფოებთან ელექტროენერჯის გაცვლის პროცესს და აქტიურად თანამშრომლობს მათი გადამცემი სისტემების ოპერატორებთან;
- მართავს მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს.
- როგორც დისპეტჩერიზაციის ერთადერთი ლიცენზიატი, პასუხისმგებელია რეალურ დროში ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაზე, გადამცემ ქსელში ძაბვების კონტროლზე, რეზერვების შენარჩუნებასა და ავარიული რეჟიმის დროს სისტემის მართვაზე.
- სსე-ს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი უზრუნველყოფს ენერგოსისტემის, როგორც ერთიანი ობიექტის მუშაობას ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში. ცენტრი, რომელიც აღჭურვილია

<sup>51</sup> წყარო: საქართველოს კანონი „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, მუხლი 110. ბოლო ალტერნატივის მიწოდება – მიწოდება საჯარო მომსახურების გაწევის სახით, შეზღუდული ვადითა და რეგულირებული პირობებით, იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომლებმაც, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ აირჩიეს ან დაკარგეს ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი გაზის მიწოდებელი.

უახლესი ტექნოლოგიებით, ეროვნული სადისპეტჩერო ქვესადგურებიდან და სადგურებიდან მიღებული ინფორმაციისა და მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე ოპერატიულად რეაგირებს ავარიულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს სისტემის ეფექტურ დისტანციურ მართვას.

სსე-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ელექტროენერჯის გენერაციისა და მოხმარების დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების უზრუნველყოფა;
- ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (საერთაშორისო და შიდა ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა);
- ელექტროგადამცემი ქსელის ტექნიკური მხარდაჭერა.

ორგანიზაციის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს კვალიფიციური საწარმოებისთვის ელექტროენერჯის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ფულადი სახსრები.

სსე-ს აქციათა 100%-ის მფლობელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსე-ს ჰყავს სამი შვილობილი კომპანია: შპს „ენერგოტრანსი“, „ქარჩალ ენერჯი“ (საქმიანობს თურქეთის ტერიტორიაზე) და შპს „საქრუსენერჯო“ – 50%.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ფლობს სხვა გადაცემის ლიცენზიატის, შპს „ენერგოტრანსის“, 100%-იან წილს.

### ენერგოტრანსი



შპს ენერგოტრანსის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერჯის გადაცემა, ელექტროენერჯის ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელება.

შპს „ენერგოტრანსის“ მფლობელობაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 290 კმ-ია, რაც მოიცავს საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიასა და სამხრეთის მხრიდან



ერთმანეთთან აკავშირებს „გარდაბანი 500-ის“ და „დიდი ზესტაფონის“ ქვესადგურებს ახალციხის 500/400/220 კვ კონვერტორული სადგურის გავლით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ახალციხის კონვერტორული სადგური, 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „მესხეთი“ მეშვეობით უკავშირდება თურქეთის ქვესადგურ „ბორჩხას“.

შპს ენერგოტრანსის საკუთრებაშია კონვერტორული სადგური და ელექტროგადამცემი ხაზები:

- ახალციხის კონვერტორული სადგური:
  - 500 /400/200 კვ კონვერტორული სადგური
- 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზები:
  - 500 კვ. „გაჩიანის“ ელექტროგადამცემი ხაზი აკავშირებს გარდაბნის და მარნეულის ქვესადგურებს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძეა – 22,3 კმ. ანძების რაოდენობა – 103;
  - 500 კვ. „ვარძიის“ ელექტროგადამცემი ხაზი აკავშირებს მარნეულის ქვესადგურს და ახალციხის კონვერტორულ სადგურს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძეა – 167,7 კმ. ანძების რაოდენობა – 567;
  - 500 კვ. „ზეკარის“ ელექტროგადამცემი ხაზი აკავშირებს ახალციხის კონვერტორულ სადგურს და ზესტაფონის ქვესადგურს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძეა 67,3 კმ. ანძების რაოდენობა – 160;
- 400 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი:
  - 400 კვ. „მესხეთის“ ელექტროგადამცემი ხაზი აკავშირებს ახალციხის კონვერტორულ სადგურს და ბორჩხას ქვესადგურს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე – 32,2 კმ. (სულ 152,2 კმ) ანძების რაოდენობა – 100.

ვინაიდან სსე ფლობს ენერგოტრანსის 100%-იან წილს და ამავე დროს კომპანიები ერთსა და იმავე ფუნქციას ახორციელებენ, მათი ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, სსე-ს კორპორატიზაციის გეგმის ფარგლებში დაგეგმილია კომპანიების გაერთიანება 2020 წლის ბოლოსთვის. ამასთან, ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებით) განსაზღვრავს გადამცემი სისტემის ოპერატორის როლს ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსებაში. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, გადამცემი

სისტემის ოპერატორი, „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს თვითდისპეტჩირების პრინციპით ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვას.<sup>52</sup>

### ესკო



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ფლობს ელექტროენერჯის ყველაზე დიდი საბითუმო მიმწოდებლის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) 100%-იან წილს. ესკოს 2006 წლიდან მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის სტაბილურობის,

უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფასა და ენერჯეტიკის სექტორის განვითარებაში.

ესკოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბალანსო ელექტროენერჯით ვაჭრობა;
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა<sup>53</sup>;
- სეზონური საჭიროების მიხედვით ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი;
- ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა (არის ახლად აშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მხარე);
- საწარმოების ელექტროენერჯით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია;
- სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა და რეგისტრაციის გაუქმება;

<sup>52</sup> თვითდისპეტჩირება-წარმოებისა და მოხმარების საათობრივი გრაფიკების, ასევე ელექტროენერჯის წარმოების/მოხმარების საშუალებებისა და მათი დატვირთვის განსაზღვრა მათ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

<sup>53</sup> ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს, თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობასა და შესაბამისი წყაროს მიერ ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს დღიურ ბაზისზე და უზრუნველყოფის პერიოდებს ადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს ელექტროსადგური ან ელექტროსადგურები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს. გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკო-ს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, რომელსაც არეგისტრირებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატან. გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო – განაწილების ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი და ექსპორტიორი ვალდებულია აუნაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის შესაბამის საანგარიშო პერიოდში გადასახდელი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი საწარმოს ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად. წყარო: <https://esco.ge/ka/garantirebuli-simdzlavre>

- საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება. მათ შორის და არა მხოლოდ:
  - აღრიცხვის წერტილების ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;
  - საანაგარიშო პერიოდების მიხედვით მრიცხველების ჩვენებების ერთიანი ბაზის შექმნა;
  - ელექტროენერჯის წარმოების საშუალებების, ქვესადგურების, მომხმარებელთა შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის მოგროვება და სისტემატიზაცია;
- ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ საქართველოს მეზობელი ელექტროენერჯეტიკული სისტემების შესაბამის საწარმოებთან გაფორმებული პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულებების წინასწარი შეთანხმება და მისი სათანადოდ შესრულების მიზნით მონიტორინგი და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
- საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირება.

ბაზრის ოპერატორი ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ნაწილში უფლებამოსილია იყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერჯია პირდაპირი ხელშეკრულებებით ან საბალანსო ელექტროენერჯის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, კვალიფიციური საწარმოების<sup>54</sup> მოთხოვნათა დაკმაყოფილების (დაბალანსების) მიზნით. ბაზრის ოპერატორისგან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვას მირითადად ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები. ბაზრის ოპერატორის მიერ გასაყიდი საბალანსო ელექტროენერჯის ფასი ფორმირდება ყოველთვიურად, მის მიერ სხვადასხვა კატეგორიის გენერაციის ობიექტებისა და იმპორტიორებისაგან შესყიდული ელექტროენერჯის ფასების საშუალო შეწონილის პრინციპით. ბაზრის ოპერატორის მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯია შედგება იმპორტირებული ელექტროენერჯისგან და ჰიდროელექტროსადგურების და თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯისგან.<sup>55</sup>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ითვალისწინებს ესკოსთვის საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის როლის და ფუნქციების განსაზღვრას. ესკო პასუხისმგებელი იქნება ბაზარზე ფასების სტაბილურობასა და აფხაზეთის რეგიონისთვის ელექტროენერჯის მიწოდებაზე. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) მოხმარებისთვის,

<sup>54</sup> კვალიფიციური საწარმოებია: წარმოების ლიცენზიატი, განაწილების ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი და იმპორტიორი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური.

<sup>55</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში; გვ.21

ელექტროენერგიას შეისყიდის საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია, დღით ადრე/დღიურ ბაზარზე.<sup>56</sup>

### საქრუსენერგო



სს საქრუსენერგო გადაცემის ლიცენზიატია, რომელიც ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 500, 330 და 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის სისტემათაშორის:

- საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვ ეგზ „კავკასიონს“;
- საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ [500 კვ ეგზ „მუხრანის ველს“](#) და [330 კვ ეგზ „გარდაბანს“](#) ;
- საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 220 კვ ეგზ „აჭარას“;

მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზებით შესაძლებელია ზაფხულში საქართველოში გამომუშავებული ჭარბი ენერგიის ექსპორტი და ზამთარში – მნიშვნელოვანი მონაწილეობა ენერგოსისტემის დეფიციტის შევსებაში.

კომპანია ფლობს ასევე შიდა სასისტემო 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებს:

<sup>56</sup> 2021 წლის პირველ ივლისამდე, აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება ესკოს მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე, ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი ვალდებული არიან მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდონ ესკოს ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგია. ესკო უფლებამოსილია აღნიშნული ელექტროენერგია გაყიდოს მის მიერ ნაყიდი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასად. ამ ელექტროენერგიის ესკოს მიერ ექსპორტირებისას ფასის ფორმირება ხდება ელექტროენერგიის ექსპორტსა ან/და გაცვლაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.



- [„იმერეთს“](#);
- [„ქართლი-1“-ს](#);
- [„ქართლი-2“ -ს](#);
- [„მუხრანს“](#);
- [„ასურეთს“](#).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამართულ მდგომარეობაში შენერჩუნება და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ელექტროენერჯის შეუფერხებელი გადაცემა, მათ შორის ტრანზიტული გადაცემის უზრუნველყოფა;
- მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა.

2019-2029 წლების საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით სს გეს „საქრუსენერგოს“ მიერ განსახორციელებელი პროექტებია:

- საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ახალი, ორჯაჭვა [330 კვ ეგზ „1,2 გარდაბნის“](#) მშენებლობა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე;
- [500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“](#) მშენებლობა, [500 კვ ეგზ „მუხრანის“](#) N42 ანბიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე;
- [500 კვ ეგზ „იმერეთის“](#) რეაბილიტაცია ;
- 500კვ ეგზ [სტეფანწმინდა-მოზდოკის](#) მშენებლობა.

სს „საქრუსენერგოს“ თანაბარწილობრივი აქციონერები არიან: საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი სსე-ს სახით და რუსეთის ფედერაციის მხრიდან - საჯარო სააქციო საზოგადოება „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფედერალური საქსელო კომპანია“ (ПАО «ФСК ЕЭС»).<sup>57</sup>

<sup>57</sup> წყარო: <https://sakrusenergo.ge/%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%91/>



საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში მოქმედი კიდევ ერთი სახელმწიფო საწარმოა სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, რომელიც დივერსიფიცირებული კომპანიაა და საქმიანობს ენერჯეტიკის სხვადასხვა სეგმენტში. კორპორაციის 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“.

ელექტროენერჯის წარმოება/მიწოდება კორპორაციის საქმიანობის შედარებით ახალი მიმართულებაა.

კორპორაციამ ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო 2015

წლიდან, როდესაც დასრულდა ქ. გარდაბანში პირველი თბოელექტროსადგურის მშენებლობა და განხორციელდა მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

გარდაბნის თბოსადგურის 51% წილის მფლობელია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, 49%-ს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“.

2016 წელს კორპორაციის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით განხორციელდა ინვესტიცია

ქ.გარდაბანში მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის. „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის

მშენებლობა დასრულდა 2019 წლის დეკემბერში, ხოლო 2020 წლის მარტში კომისიამ გასცა

ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია და შედეგად თბოსადგურმა დაიწყო ოპერირება 2020 წლის მარტში.

თბოსადგური მაღალი ეფექტიანობითა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიით გამორჩეული ობიექტია, რომელიც 180 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიციით აშენდა.

ახალი თბოელექტროსადგური, პირველად საქართველოში, ინოვაციური, ე.წ. ნულიდან გაშვების ფუნქციით არის აღჭურვილი, რაც ქვეყნის ელექტროსისტემაში საგანგებო მდგომარეობის

შემთხვევაში, დროის მოკლე პერიოდში, სისტემისთვის ელექტროენერჯის მიწოდებასა და ნულიდან აღდგენას გულისხმობს. „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“ წელიწადში 1,3 მილიარდ კვტ.სთ-მდე

ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს, ენერგოეფექტურია და თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებ გაზს მოიხმარს და უფრო ეკონომიურია, ვიდრე საქართველოში ბუნებრივ აირზე მომუშავე

ძველი ენერგობლოკები. თბოსადგურის დადგმული სიმძლავრე, გარდაბნის პირველი ენერგოეფექტური თბოსადგურის მსგავსად, შეადგენს 230 მგვტ-ს. იგი აღჭურვილია თანამედროვე

ტიპის „ჯენერალ ელექტრიკის“ გაზისა და ორთქლის ტურბინებით და გენერატორებით.

განხორციელებულ პროექტს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია ქართული ენერგეტიკული სისტემისა და მთლიანად სექტორის მდგრადობისთვის და მისი წარმატებული განვითარებისთვის.<sup>58</sup> ენერგეტიკის სექტორში სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი გაზის იმპორტი. ბუნებრივი გაზის იმპორტი და შემდგომი საბითუმო რეალიზაცია ძირითადად ე.წ. სოციალური მომხმარებლებისთვის (ელექტრო გენერაციის ობიექტები და მოსახლეობა) ხორციელდება. კომპანიის საქმიანობის სხვა მიმართულებებია ასევე ნავთობისა და გაზის ძიება და მოპოვება საქართველოში და მილსადენების იჯარით გაცემა.

2006 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც კომპანიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფოს სახელით „ეროვნული ნავთობკომპანიის“ სტატუსი, კომპანია იღებს და ყიდის საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფო წილს, სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ შესაბამისად. კორპორაციას გააჩნია ნავთობის მოპოვების ლიცენზია და სალიცენზიო ფართობზე თავადაც აწარმოებს ნავთობის მოპოვებას. კორპორაციის ბალანსზე არსებული ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას, რომელიც ახორციელებს მის ოპერირებას. გაზის მილსადენის იჯარასთან ერთად, კომპანია იჯარით გასცემს ნავთობის მილსადენს და იღებს სატრანზიტო შემოსავალს ტრანსპორტირებული ნავთობის თითოეული ბარელზე. ნავთობის ტრანსპორტირების საფასურის მიღება ხდება ბაქო-სუფსის მილსადენის გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში ნავთობის ტრანსპორტირებიდან.

#### *საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია*

კომპანია მართავს საქართველოს ტერიტორიაზე მთავარ მაგისტრალურ გაზსადენ სისტემას, რომლის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. კომპანიის შემოსავალი, რომელსაც ის იღებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენის სისტემის გამოყენებისაგან, შედგება შემდეგი საქმიანობისაგან:

- ბუნებრივი აირის ტრანზიტის რუსეთის ფედერაციიდან სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენის საშუალებით სომხეთის რესპუბლიკაში.
- ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება საქართველოს მასშტაბით, ძირითადად დისტრიბუციის კომპანიებისათვის, სამრეწველო საწარმოებისა და თბოელექტროსადგურებისათვის.
- გაზის რეალიზაცია სხვა მომხმარებლებზე საქართველოში.

<sup>58</sup> წყარო: <https://www.gogc.ge/ka/project/gardabnis-tbosadguri-2/32>; <http://gtpp.ge/?view=job>; <https://www.gogc.ge/ka/companies/subsidiary-companies/>.

კომპანია საქართველოს მთავრობის დავალებით ახორციელებს სოფლებში მილსადენების მშენებლობის პროექტებს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. კომპანიის მართვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

### *ენგურჰესი*

შპს ენგურჰესის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. კომპანიის მართვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კომპანიის საქმიანობას ელექტროენერჯის წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს. კომპანია პასუხისმგებელია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ვარდნილჰესების კასკადისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კოდორის ხეობაში, მდებარე რამდენიმე მცირე ჰესის ფუნქციონირებაზე.

### *ენერგეტიკის განვითარების ფონდი*



განახლებადი ენერჯის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ს უმთავრეს ამოცანას.

ფონდი დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 08 დეკემბრის #1564 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.12.2010 წლის #1-1/1950 ბრძანების საფუძველზე და წილის 100%-ს ფლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ს მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას, შესაბამისი ფონდების მოძიების, პროექტების

განვითარებისა და მათი ეფექტიანი განხორციელების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფონდი ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;
- პროექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;
- ინვესტორების მოძიება და დაინტერესება არსებული პროექტებით;

ფონდი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მიზნით იკვლევს ენერგეტიკული პოტენციალის მქონე ადგილებს; ასევე ხორციელდება კონკრეტული პროექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება და იწერება წინასაპროექტო კვლევის ანგარიში, რომლის საფუძველზეც, ინვესტორის არსებობის შემთხვევაში და აქციონერის თანხმობის შემთხვევაში ფონდი იწყებს პროექტის დეტალურ ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას და სხვა დამატებითი მომსახურებების გაწევას. ინვესტორის დაინტერესების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება ინვესტორსა და ფონდს შორის (და მესამე პირს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განისაზღვრება ინვესტორისა და კომპანიის ურთიერთვალდებულებები. ფონდი რამდენიმე ათეულ პროექტს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკაში და მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია. კომპანია, ერთი მხრივ, თავადაა პროექტირების ან მშენებლობის ეტაპზე არსებული ენერგობიექტების თანაინვესტორი, მეორე მხრივ კი, ახორციელებს კვლევებს, დამატებით არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების აღმოსაჩენად.



სს„საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ახორციელებს:

ქარის და მზის ენერჯის მიმართულებით ინვესტიციების მოძიებას;

ბიომასის და ალტერნატიული ენერჯის პროექტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას უწყობს ხელს;



საქართველოს მთიანეთში სოციალური დანიშნულების პროექტებს ელექტროენერჯის მუდმივი მიწოდების უზრუნველსაყოფად, სადაც ტრადიციული ელექტროენერგეტიკა არასდროს ყოფილა განვითარებული.

ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ასევე მომსახურების გაწევა ენერგეტიკის სფეროში, რაც მოიცავს: საპროექტო, კვლევით და იურიდიულ მომსახურებებს, კერძოდ:

- მშენებლობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მომზადება, უფლების და ლიცენზიების მოპოვების ჩათვლით;
- პროექტის წინასწარი სტრატეგიული დამუშავება ან წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მომზადება;
- მშენებლობის მონიტორინგი.<sup>59</sup>

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებაზე კონცენტრაცია და სოციალური დანიშნულების პროექტების განხორციელება ფონდს ფუნქციური თვალსაზრისით ელექტროენერგეტიკის სექტორში მომუშავე სხვა სახელმწიფო საწარმოებისგან გამოარჩევს.

### *ფუნქციური, სამართლებრივი და ქონებრივი განცალკევება (Unbundling)*

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შედეგად აღებული ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ითვალისწინებს ევროკავშირის 2009 წლის 13 ივლისის №2009/72/EC დირექტივას (ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ) და ახდენს მის ტრანსპოზიციას ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული დირექტივა ადგენს გადაცემისა და განაწილების საქმიანობების სხვა ენერგეტიკული საქმიანობებისაგან და მათთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან დამოუკიდებლობის, ასევე ინტერესთა კონფლიქტის და ჯვარედინი სუბსიდირების წინაპირობების გამორიცხვის მოთხოვნებს.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონმა განსაზღვრა გადამცემი სისტემის ოპერატორისა და განაწილების სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელები:

<sup>59</sup> წყარო: <https://gedf.com.ge/About-company>; <http://www.economy.ge/?page=news&nw=1370&lang=ge>.

ა) გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევება<sup>60</sup>:

- გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების ძირითადი მოდელია ქონებრივი განცალკევება. კანონში ამომწურავად მოცემულია ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ქონებრივი განცალკევების მოთხოვნებს (კანონის 45-ე მუხლი);
- კომისია უფლებამოსილია ქონებრივი განცალკევებისგან გამონაკლისის სახით, აუცილებლობის შემთხვევაში, განიხილოს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელიც, რაც გულისხმობს ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოში სრულიად დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის გამოყოფას და მის ავტორიზაციას კანონში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად. სხვა გადაცემის ლიცენზიატები, რომლებიც არ იქნებიან ავტორიზებული, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორი, გახდებიან გადამცემი სისტემის მესაკუთრეები და განხორციელებენ მათ უფლება-მოვალეობებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში (მუხლი 48), გადამცემი სისტემის ოპერატორის მითითებებით;
- საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელის შესახებ, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისია ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოსთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას წარუდგენს გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელს და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმას;
- გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევებას ზედამხედველობს კომისია, რისთვისაც კომისიის მიერ კანონით დადგენილი წესისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული პროცედურის დაცვით ხორციელდება გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირება, ხოლო წარმატებული სერტიფიცირების შემდეგ – გადამცემი სისტემის ოპერატორის ლიცენზირება.

გადამცემი სისტემის ოპერატორის ქონებრივი განცალკევების მოდელის დამტკიცებისა და განხორციელების მიზნით შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის N682 დადგენილება „საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ითვალისწინებს იმ ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს და განხორციელების ვადებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ეკისრებათ შესაბამის სუბიექტებს, კერძოდ, ქონებრივი განცალკევების მოდელის განხორციელების მიზნით, გეგმით განსაზღვრულმა შესაბამისმა სუბიექტებმა დადგენილების ძალაში შესვლიდან 22 დღის ვადაში უნდა უზრუნველყონ ამავე გეგმით გათვალისწინებული იმ ღონისძიებების გატარება, რაც

<sup>60</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.26-27

უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით გადამცემი ინფრასტრუქტურის აქტივების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ფაქტობრივ ფლობას, სრულ ოპერირებას და მათი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას.<sup>61</sup>

დადგენილების თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორის ქონებრივი განცალკევების მიზნის მისაღწევად არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ან სხვა საჯარო დაწესებულებებთან მოლაპარაკებისა და სათანადო ცვლილებების ინიცირების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს მისი მმართველობის სფეროში არსებული, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიების მართვის უფლებების იმგვარი გადანაწილება, რომ ერთი სახელმწიფო ორგანოს მართვაში არ აღმოჩნდეს ერთდროულად ერთი მხრივ ენერჯის გადაცემა/განაწილების და მეორე მხრივ წარმოება/მიწოდება/ვაჭრობის საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები:

ელექტროენერგეტიკის სექტორში:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - გადაცემის საქმიანობა (100% აქციები);
- შპს „ენერგოტრანსი“ - გადაცემის საქმიანობა (100% წილი);
- სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ - გადაცემის საქმიანობა (50% აქციები);
- შპს „ენგურჰესი“ - წარმოების საქმიანობა - (100% წილი);
- შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ - წარმოების საქმიანობა - (100% წილი);
- სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - ელექტროენერგიით ვაჭრობა/მიწოდება (100% აქციები);
- თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ელექტროობის ბითუმად ვაჭრობის სააქციო საზოგადოება „კარჩალ ენერჯი“ (KARÇAL ENERJİ ELEKTRİK TOPTAN TİCARET A.Ş.) (100% წილი).

ბუნებრივი გაზის სექტორში:

- შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ - გადაცემის საქმიანობა (100%-იანი წილი);
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ -ვაჭრობა (100% აქციები).

აღნიშნული მოლაპარაკებების დასრულებამდე და ცვლილებების განხორციელებამდე სამინისტრომ 2020 წლის პირველ დეკემბრამდე დროებითი ღონისძიების სახით უნდა უზრუნველყოს მისი

<sup>61</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“.



მმართველობის სფეროში შემავალი ზემოხსენებული კომპანიების მართვის უფლებების სათანადოდ გადანაწილება, სულ მცირე, სამინისტროში შემავალ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის. დროებითი ღონისძიების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

დადგენილება ითვალისწინებს გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის შესასრულებლად გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, კერძოდ, დადგენილების ძალაში შესვლიდან 22 დღის ვადაში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- შპს „ენერგოტრანსის“ საკუთრებაში არსებული გადამცემი ინფრასტრუქტურის აქტივების მიმართ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორის, შეუფერხებელი ოპერირების, აქტივების ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების, ასევე ამ აქტივების მიმართ დაგეგმვის, რემონტების და განვითარების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობის დადასტურება.
  - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 100% შვილობილი კომპანიის - შპს „ენერგოტრანსის“ წესდებაში შეტანილი იქნება ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს დამფუძნებლის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შპს „ენერგოტრანსის“ კაპიტალში არსებული გადამცემი სისტემის აქტივების მართვისა და ოპერირების შეუფერხებელ/შეუზღუდავ შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N805 განკარგულებით დამტკიცდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და შპს „ენერგოტრანსის“ შერწყმის გეგმა. შპს „ენერგოტრანსის“ წესდებაში განცალკევების გეგმით გათვალისწინებული ცვლილების შეტანა არ იქონიებს უარყოფით გავლენას შერწყმის გეგმის განხორციელებაზე, შესაბამისად, განცალკევების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება შერწყმის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
- სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებული გადამცემი ინფრასტრუქტურის აქტივების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორის, ფლობასა და ოპერირებაში სასყიდლიანი გადაცემა, იმგვარად, რომ აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნეს:
  - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გადაცემული აქტივების ფაქტობრივი ფლობა, სრული ოპერირება და გადაცემული აქტივების ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისი წერილობითი მიმართვისა და სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ წესდებით გათვალისწინებული კორპორაციული პროცედურების დაკმაყოფილების შემთხვევაში);

- სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ აქციონერთა საერთო კრების მხრიდან წესდებით გათვალისწინებული სათანადო გადაწყვეტილების წინასწარ მიღების შემთხვევაში, დადგენილების ძალაში შესვლიდან 22 დღის ვადაში სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოსა“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის სასყიდლიანი იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, რის საფუძველზეც საქრუსენერგო გადამცემი სისტემის აქტივების მართვისა და ოპერირების უფლებას, სრულად გადასცემს სსე-ს, მისთვის საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე.

- გადაცემული აქტივების მიმართ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ განვითარების დაგეგმვის უფლებამოსილების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა;
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სარემონტო-საექსპლუატაციო საქმიანობის განხორციელება ექსკლუზიურად აღნიშნული აქტივების მესაკუთრის სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ სერვისის გამოყენებით, თუ აქტივების გადაცემაზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.<sup>62</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ენერგოპროდუქტებით ვაჭრობა, სხვა სფეროებისგან განსხვავებით, დამოკიდებულია გადამცემ ინფრასტრუქტურაზე/ქსელზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე განცალკევების პრინციპების დაცვა გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკურენციის განვითარების მიზნით. თუ დაინტერესებულ (მესამე) მხარეს არ აქვს ქსელზე წვდომა იგი ვერ შევა ბაზარზე და ვერ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში. შესაბამისად, ქსელზე დაშვება პირდაპირი პროპორციულია ბაზარზე დაშვების, რაც განსაზღვრავს ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის ხარისხს. განცალკევების მიზანია, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, კონკურენტული საქმიანობის (მიწოდებისა და გენერაციის) გამიჯვნა ბუნებრივად მონოპოლიური (გადამცემი სისტემის/ქსელის ოპერატორის) საქმიანობისგან. მაგალითად, თუ ერთი კომპანია მართავს გადამცემ ქსელს და ამავდროულად ახორციელებს გენერაციას ან ენერჯის გაყიდვას, მან შესაძლებელია შეზღუდოს კონკურენტების დაშვება ინფრასტრუქტურაზე/ქსელზე. ეს ხელს უშლის კონკურენციას ბაზარზე და შესაძლებელია გამოიწვიოს მომხმარებლებისათვის საბოლოოდ ფასების გაზრდა ენერჯიაზე.[1] ამდენად, ქონებრივი განცალკევების მიზნის მიღწევა უზრუნველყოფს კონკურენციის წახალისებას ბაზარზე. ამასთან, ქონებრივი განცალკევების არსებული გეგმის მიხედვით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვის სფეროში შესაძლოა მაინც დარჩეს ელექტროენერგეტიკის სექტორის რომელიმე ფუნქციის განმახორციელებელი საწარმო, რაც შეუთავსებელი იქნება OECD-ის მართვის საუკეთესო

<sup>62</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

სტანდარტებთან, რადგან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელს და რეგულატორად განიხილება.

---

[1] წყარო: კვლევა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში“ გვ.8

ბ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევება<sup>63</sup>:

- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სულ მცირე, სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც განაწილებას არ უკავშირდება. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევებისა და მისი შემდგომი ავტორიზაციის მიზნებისათვის არ არის განსაზღვრული მისი ქონებრივი გამოყოფის ვალდებულება ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიისგან;
- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობას ზედამხედველობს კომისია, რაც ასევე მოიცავს შესაბამისი მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების გამოცემას. გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის შესაბამისობის დადასტურება კომისიის მიერ წარმოადგენს მისი ლიცენზირების შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დაამტკიცა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები, რომელიც ადგენს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების სავალდებულო კრიტერიუმებს და ამ კრიტერიუმებთან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობას და განსაზღვრავს განაწილების სისტემის ოპერატორის სამართლებრივი და ფუნქციური დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, მისი სამართლებრივი განცალკევება შესაძლებელია განხორციელდეს ერთ-ერთი შემდეგი გზით:

---

<sup>63</sup> წყარო: საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიში; გვ.27

- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ჩამოყალიბდება განცალკევებულ საწარმოდ, რომელიც რჩება ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს შვილობილ საწარმოდ;
- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ჩამოყალიბდება განცალკევებულ საწარმოდ და გამოეყოფა ყველა ფუნქცია, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება განაწილებას;
- დაფუძნდება ჰოლდინგური საწარმო, რომელიც ამავდროულად იქნება როგორც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის, ასევე ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს აქციონერი/პარტნიორი. ამასთან, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, არ არის შეზღუდული აღნიშნული შესაძლო სტრუქტურული ცვლილებებით და შესაძლებელია, მისი სამართლებრივი განცალკევება განხორციელდეს განსხვავებული სახით, იმ პირობით, რომ სრულად იქნება დაცული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესებით დადგენილი პრინციპები და მოთხოვნები.

მაგალითად, 2016 წლის ბოლომდე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობდა ელექტროენერჯის განაწილებისა და წარმოების ლიცენზიებს, თუმცა 2016 წლის დეკემბერში მან მოახდინა ამ ორი საქმიანობის ერთმანეთისგან სამართლებრივი გამოყოფა. შედეგად, დაარსდა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, რომლის საკუთრებაში გადავიდა 11 ელექტროსადგური, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დარჩა განაწილების აქტივები.<sup>64</sup>

ფუნქციურ დამოუკიდებლობის მისაღწევად აღნიშნული წესები ითვალისწინებს მენეჯმენტის განცალკევების მოთხოვნას, კერძოდ, დაუშვებელია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების<sup>65</sup> მონაწილეობა ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში შემავალი იმ საწარმოების მართვაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის. ამასთან, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა და მისი აქციების/წილების მფლობელმა საწარმომ უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამეთვალყურეო და მმართველი საბჭოების წევრების, სულ მცირე, ნახევარი მაინც იყვნენ დამოუკიდებლები.<sup>66</sup>

<sup>64</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში; გვ.27

<sup>65</sup> წესების მიზნებისთვის, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებში იგულისხმებიან მისი კოლეგიური ორგანოების – სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი საბჭოს წევრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე სხვა პირი/პირები, მათ შორის, დირექტორი, მისი მოადგილე და საშუალო რგოლის მენეჯერები.

<sup>66</sup> წყარო: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილება „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების საქმიანობის განცალკევება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.

### ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs) ბაზრის ლიბერალიზაციის კონტექსტში

ბაზრის ლიბერალიზაციის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). PPA ინვესტიციების მოზიდვისა და შენარჩუნების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელსაც მთავრობა მიმართავს. ამასთან, PPA წარმოადგენს ფისკალური რისკის უმსხვილეს წყაროს ქვეყნისთვის.

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ ვალდებულია შესაბამის პირობებში გააფორმოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (PPA) იმ პირობებით, რომელზეც შეთანხმდა საქართველოს მთავრობა, ესკო და ინვესტორი. ესკო არ მონაწილეობს ინვესტორთან გასაფორმებელ მემორანდუმში ფასის და შესასყიდი პერიოდის განსაზღვრის პროცესში და მისი ვალდებულება მოიცავს ახლად აშენებული ელექტროსადგურებიდან გამომდინარე ელექტროენერჯის გარანტირებულად შესყიდვას, ძირითადად შემოდგომა-ზამთრის თვეებში, როცა ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარება მნიშვნელოვნად მეტია საქართველოში გამომდინარე ელექტროენერჯის მოცულობასთან შედარებით.

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფისკალური რისკების მატერიალიზების ალბათობა დგება იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული შესყიდვის ფასი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს რეგიონში ხელმისაწვდომ იმპორტზე არსებულ საბაზრო ფასებს. ამჟამად მოქმედ საკანონმდებლო სისტემაში, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფისკალური რისკი დაბალია. თუმცა, აღნიშნული დერეგულირებული ბაზრის პირობებში შეიცვლება. ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედება იგეგმება 2021 წლიდან.<sup>67</sup>

გარდა ფისკალური რისკისა, სახელწიფოს მიერ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები ბაზრის ლიბერალიზაციაზე უარყოფითად მოქმედებს, ანუ ბაზარი ნაწილობრივ კარგავს იმ საბაზრო თავისუფლებას, რომლის მეშვეობითაც უნდა განისაზღვროდეს ენერჯის კონკურენტული საბაზრო ფასები. შეიძლება ითქვას, რომ მსხვილმასშტაბიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები ენერგობაზრის რეგულირების ირიბი ინსტრუმენტია.

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებით) ითვალისწინებს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ინტეგრირებას ორგანიზებულ ბაზარზე. კონცეფციის მე-11 მუხლის თანახმად

<sup>67</sup> წყარო: ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი 2019-2023 გვ.59,

ელექტროენერჯის ბაზარზე გამჭვირვალობის, ლიკვიდურობისა და კონკურენტული ფასის ფორმირებისათვის, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის რეალიზაცია მოხდება ორგანიზებულ ბაზარზე, საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის ან თავად მწარმოებლის მიერ. კონცეფციის მიხედვით ესკო ხდება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია და 2021 წლის პირველი ივლისიდან განახორციელებს საბითუმო საჯარო მომსახურების გაწევას.

საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია იქნება ფასების სტაბილურობის გარანტი<sup>68</sup> ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) მქონე სადგურებისთვის.<sup>69</sup> საბითუმო საჯარო მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ივაჭროს ელექტროენერჯის ბაზრებზე, თუმცა ძირითადი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ფასების სტაბილურობისთვის, არის ფასთა სხვაობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანია აანაზღაურებს სხვაობას დაპირებულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის.

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის თანახმად (მუხლი 11) ორგანიზებულ ბაზრებზე ელექტროენერჯის მწარმოებლების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მწარმოებელსა და საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციას შორის შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება საბაზრო და არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასებს შორის უარყოფითი სხვაობის კომპენსირების ან/და სხვა ხელშეწყობი ღონისძიების შესახებ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მონაწილე მწარმოებელი არ იყენებს აღნიშნულ უფლებას, ორგანიზებულ ბაზარზე ამ ელექტროენერჯის შეთავაზებაზე პასუხისმგებელია საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია.

ფასთა სხვაობის ხელშეკრულების ანაზღაურების წესი უნდა განისაზღვროს მთავრობის მიერ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N 246 დადგენილების („ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“) თანახმად საბითუმო საჯარო მომსახურების გაწევის, ასევე, ამ მიზნით შექმნილი ფონდის ფორმირებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. ამასთან, საჯარო მომსახურების ვალდებულება არის დროებითი ღონისძიება, რომელიც, სულ მცირე, 2 წელიწადში ერთხელ, უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას, მისი საჭიროებისა და ზემოქმედების შედეგების განსაზღვრის მიზნით.

### განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა

<sup>68</sup> საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია იქნება ფასების სტაბილურობის გარანტი შემდეგი ბაზრის მონაწილეებისთვის: ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) მქონე სადგურები; ელექტროსადგურები სამომავლოდ მთავრობის მიერ შეთავაზებული სხვა წამახალისებელი სქემით; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები (კომპანიები, რომლებიც ელექტროენერჯას აწვდიან მოსახლეობას და სხვა საბოლოო მომხმარებლებს); რეგულირებული ელექტროსადგურები (მაგ. ენგური); გარანტირებული სიმძლავრის მიმწოდებლები (მაგ. თბოსადგურები).

<sup>69</sup> წყარო: ვალტ & თავარტი „ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა“ 7 მაისი 2020წ, გვ.2

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებით განისაზღვრა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურებისთვის. დადგენილება, რომელიც მომზადდა „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განსაზღვრავს კერძო ინიციატორის მიერ საქართველოში 5 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

აღნიშნული დადგენილების თანახმად, საინიციატივო შეთავაზების განხილვა და სადგურის მშენებლობისა და ოპერირებისთვის მხარდაჭერის სქემის გამოყენებაზე შეთანხმების გაფორმება კერძო ინიციატორს, საქართველოს მთავრობას და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“<sup>70</sup> შორის ხორციელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მხარდაჭერის სქემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) მხარდაჭერის პერიოდი:

- მხარდაჭერის პერიოდი განისაზღვრება სადგურის ექსპლუატაციაში შესვლისა და წარმოების ლიცენზიის (კანონმდებლობით ასეთი საჭიროების შემთხვევაში) გაცემიდან ათი წლის ვადით, წელიწადში 8 თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) განმავლობაში.

ბ) პრემიალური ტარიფი:

- პრემიალური ტარიფი შეადგენს 1 კვტ.სთ-ისთვის 0.015 აშშ დოლარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასსა და 0.055 აშშ დოლარს შორის სხვაობა 0.015 აშშ დოლარზე ნაკლებია, მაშინ პრემიალური ტარიფი გამოიანგარიშება აღნიშნული სხვაობით.
- პრემიალური ტარიფი გადაიხდება როგორც ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასზე დამატება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში მოცემულ საათში

<sup>70</sup> მხარდაჭერის სქემა ხორციელდება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, ხოლო „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის განსაზღვრის შედეგ, ამ ორგანიზაციის მიერ, შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. საჯარო მომსახურების ვალდებულება არის დროებითი ღონისძიება, რომელიც უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას მისი საჭიროებისა და ზემოქმედების შედეგების განსაზღვრის მიზნით. ენერჯეტიკულ საწარმოს საჯარო მომსახურების ვალდებულებას აკისრებს საქართველოს მთავრობა საერთო ეკონომიკური ინტერესიდან გამომდინარე, მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხისა და ფასის, აგრეთვე გარემოს დაცვის, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და კლიმატის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება შესაძლოა დაეცის ნებისმიერ ენერჯეტიკულ საწარმოს.

გამომუშავებული და ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე რეალიზებული 1 კვტ.სთ ელექტროენერჯისათვის დაფიქსირებული საბითუმო (წონასწორული) ფასი ნაკლებია 0.055 აშშ დოლარზე.

- პრემიალური ტარიფი გადაიხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ანგარიშფაქტურის გამოწერის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, შეთანხმებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სადგურის სპეციფიკის ან მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, შემუშავებულ იქნეს ამ მხარდაჭერის სქემისაგან განსხვავებული მხარდაჭერის პირობები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N 246 დადგენილების („ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“) თანახმად განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე მწარმოებლებისთვის მხარდაჭერის სქემით გათვალისწინებული საფასური ანაზღაურდება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის („ესკო“) მიერ. განახლებადი ენერჯის მხარდაჭერისათვის საჭირო ფონდის ფორმირების წესი განისაზღვრება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

### სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმების ნაწილია ახალი სახელმწიფო კომპანიის, ენერგეტიკული ბირჟის დაფუძნება. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებითა და კოორდინაციით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 50/50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა 2019 წელს.

ბირჟას აქვს ორი მთავარი ამოცანა:

- იმ ბაზრების მომზადება, რომლებიც აუცილებელია რეფორმირებულ ელექტროენერგეტიკულ სექტორში - ესენია: დღით ადრე ბაზარი, დღის შიგნით ბაზარი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი. ბაზრების მომზადება გულისხმობს ბაზრების ტექნიკური უზრუნველყოფას (შესაბამისი პლატფორმების შექმნა, გაშვება და სატესტო რეჟიმში მუშაობა), რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.



- მეორად კანონმდებლობაზე მუშაობა - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნაცვლად ბაზრის წესები ახლა უკვე კომისიამ უნდა დაამტკიცოს, თუმცა ბაზრის წესების პროექტი ენერგეტიკულმა ბირჟამ უნდა მოამზადოს.<sup>71</sup>

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ ვალდებულია<sup>72</sup>:

|   |  |
|---|--|
| <p>2021 წლის 1 ივლისამდე</p> <p>დღით ადრე ბაზრის პლატფორმის ჩამოყალიბება-გამართვა, ტესტირება, პოტენციურ მონაწილეებთან სიმულაციურ რეჟიმში გაშვება და დანერგვა;</p> | <p>2022 წლის 1 ივლისამდე</p> <p>დღიური ბაზრის ჩამოყალიბება-გამართვა, ტესტირება, პოტენციურ მონაწილეებთან სიმულაციურ რეჟიმში გაშვება და დანერგვა. ბირჟა მუშაობს საკონსულტაციო კომპანია Nord Pool Consulting-თან სავაჭრო პლატფორმების შექმნაზე და მისი ოპერირების წესების შემუშავებაზე.</p> |
|---|--|

|  |   |
|--|---|
| <p>დღით ადრე და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრების ოპერატორის ლიცენზიის მისაღებად კომისიისათვის შესაბამისი განაცხადის წარდგენა;</p> | <p>დღიური ბაზრის ოპერატორის ლიცენზიის მისაღებად კომისიისათვის შესაბამისი განაცხადის წარდგენა; დღიური ბაზრის პლატფორმის ოპერირება.</p> |
|--|---|

## სექტორიზაციის გავლენა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია (ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N96 ბრძანება „სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სიის დამტკიცების შესახებ“), რაც გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების მიკუთვნებას სახელმწიფო კორპორაციების ან სამთავრობო (*General Government*) სექტორებზე. ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც სრულყოფილად განახორციელა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია. სექტორიზაციის შედეგების მიხედვით 52 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო სამთავრობო სექტორს - 183 საწარმო. ამასთან, 2020 წლის ფისკალური რისკების დოკუმენტის მომზადების ეტაპზე მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებული საწარმოთა დაფარვის არეალი ფინანსთა სამინისტრომ გაზარდა 100%-მდე, რის შედეგადაც დაზუსტდა საწარმოთა სია და მათი რაოდენობა გაიზარდა 116-ით. ყველა მათგანი

<sup>71</sup> წყარო: <https://bm.ge/ka/article/energetikuli-birjis-momavali-da-sachiroeba-sagartveloshi--interviu-irina-miloravastan-45341> 15.12.2019

<sup>72</sup> საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 მაისის №39/2 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე“ გაიცა ელექტროენერგეტიკის ბაზრის ოპერირების ლიცენზია.

მიეკუთვნა სამთავრობო სექტორს. აღნიშნული გათვალისწინებულია ქვეყნის ფისკალურ პარამეტრებზე სექტორიზაციის სავარაუდო გავლენის შეფასებაში.

სახელმწიფო საწარმოების კლასიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი კრიტერიუმია თუ რამდენადაა დამოუკიდებელი საწარმო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ყიდის თუ არა ის თავის პროდუქციას ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად კონკურენტულ გარემოში და რამდენად არის დამოკიდებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე.

საწარმოთა სექტორიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ფისკალური გამჭვირვალობის თვალსაზრისით. კერძოდ, მოხდება სამთავრობო სექტორს მიეკუთვნებული საწარმოების ასახვა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკაში, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ფინანსების შემოსავლებზე, ხარჯებსა და ვალდებულებების ნაწილზე. განხორციელებულ ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვადგინოთ სექტორიზაციის სავარაუდო გავლენა ფისკალურ პარამეტრებზე.

სექტორიზაციის სავარაუდო გავლენა ქვეყნის 2019 წლის ფისკალურ პარამეტრებზე (მშპ-სთან მიმართებით)

|                          |        |
|--------------------------|--------|
| გავლენა სახელმწიფო ვალზე | +0.82% |
| გავლენა დეფიციტზე        | -0.22% |
| გავლენა შემოსავლებზე     | +1.35% |
| გავლენა ხარჯებზე         | +1.98% |

## საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება

### ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები

საქართველოში ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიასთან „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო), რომლის პასუხისმგებლობაა ელექტროენერჯის მიწოდება-მოთხოვნის დაბალანსება როგორც ბაზარზე და ელექტროენერჯის მწარმოებელ კერძო კომპანიას შორის. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში კერძო კომპანიაზე გაიცემა მშენებლობის და ელექტროსადგურის ოპერირების ლიცენზია. ამის სანაცვლოდ, ესკო იღებს ვალდებულებას შეისყიდოს ელექტროენერჯის კონკრეტული, წინასწარ შეთანხმებული მოცულობა, წინასწარ შეთანხმებულ გარანტირებულ ფასად. ესკო, როგორც წესი, შესყიდულ ელექტროენერჯიას ყიდის.

მიუხედავად იმისა, რომ ესკო-ს არ მოეთხოვება ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ასახვა მის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული ფისკალური გამჭვირვალობის სტანდარტები მოითხოვს ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული

პოტენციური ფისკალური ხარჯების და შესაბამისად ფისკალური რისკების გასაჯაროებას. აღნიშნული მიზეზით და ასევე იმის გამო, რომ ელექტროენერჯის ბაზრის ეტაპობრივმა დერეგულირებამ შესაძლოა ფისკალური რისკები წარმოქმნას, ფინანსთა სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების გასაჯაროება მოხდეს აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები ექვემდებარებიან გასაჯაროებას, თუ აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ხელმოწერილია;
- მშენებლობაზე ნებართვა გაცემულია;
- პროექტის განხორციელებისათვის ფინანსური სახსრები უზრუნველყოფილია.

ამჟამად მოქმედ საკანონმდებლო სისტემაში, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფისკალური რისკი დაბალია. თუმცა, აღნიშნული შეიძლება დერეგულირებული ბაზრის პირობებში შეიცვალოს.

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფისკალური რისკების მატერიალიზების ალბათობა დგება იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული შესყიდვის ფასი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს რეგიონში ხელმისაწვდომ იმპორტზე არსებულ საბაზრო ფასებს.

გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების მოსალოდნელი ჯამური მიმდინარე ღირებულება შეფასებულია 3 მილიარდ აშშ დოლარად, რაც 2020 წლის საპროგნოზო მშპ-ს 20%-ს შეადგენს.

ფისკალურ სექტორზე გავლენის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფისკალური ხარჯები და ფისკალური რისკები.

**ფისკალური ხარჯი** გამოითვლება გარანტირებული შესყიდვის მოცულობების გამრავლებით გარანტირებული შესყიდვის ფასსა და საპროგნოზო საბაზისო ფასს შორის სხვაობაზე<sup>73</sup>.

**ფისკალური რისკი** შეფასებულია ორი სცენარის მიხედვით.

- **რისკის სცენარი 1.** ფისკალური რისკის გამოითვლება გარანტირებული შესყიდვის მოცულობების გამრავლებით გარანტირებული შესყიდვის ფასსა და 10 პროცენტით შემცირებული საპროგნოზო საბაზისო ფასს შორის სხვაობაზე. ამავე სცენარი ითვალისწინებს ორი მსხვილი ჰესის აშენებას PPA ინსტრუმენტის პირობებში.
- **რისკის სცენარი 2.** ფისკალური რისკის გამოითვლება გარანტირებული შესყიდვის მოცულობების გამრავლებით გარანტირებული შესყიდვის ფასსა და 30 პროცენტით შემცირებული საპროგნოზო საბაზისო ფასს შორის სხვაობაზე. ამავე სცენარი ითვალისწინებს ორი მსხვილი ჰესის აშენებას PPA ინსტრუმენტის პირობებში.




ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფისკალური ხარჯისა და ფისკალური რისკების ჯამური შეფასებები გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებების სრულ პერიოდზე ჯამურად:

ცხრილი 23. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაძლო ფისკალური გავლენები გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებების სრულ პერიოდზე ჯამურად:

|  |         |         |
|--|---------|---------|
|  | მლნ USD | მლნ GEL |
|--|---------|---------|

<sup>73</sup> საბაზისო საპროგნოზო ფასი გამოითვლება, გასულ პერიოდში რეგიონში არსებულ ფასებზე დაყრდნობით;

|   | სულ   | NPV   | სულ    | NPV    |
|---|-------|-------|--------|--------|
| ფისკალური წნეხი (გარანტირებული შესყიდვის ოდენობა გამოხატული ვალუტაში) | 6,081 | 3,037 | 20,191 | 10,084 |
| ფისკალური ხარჯი (საბაზისო)  | 883   | 411   | 2,934  | 1,365  |
| ფისკალური რისკის სცენარი 1 (-10% ფასი)                                | 3,084 | 1,245 | 10,240 | 4,133  |
| ფისკალური რისკის სცენარი 2 (-30% ფასი)                                | 4,273 | 1,760 | 14,187 | 5,842  |



მოცემული დიაგრამები ასახავენ მთავრობის მიერ საბაზისო და რისკის სცენარების პირობებში ელექტროენერჯის უშუალო მომხმარებლებისა და მთავრობის მიერ გადახდილ ოდენობებს დოლარებში. ამასთან, აღნიშნული წარმოადგენს მთავრობის პირობითი ვალდებულებების 100%-ით რეალიზების დაშვებას. ამ თანხების ელექტროენერჯის მომხმარებლების ტარიფში გათვალისწინების შემთხვევაში,

დანახარჯი 1 კილოვატ საათზე საბაზისო სცენარში შეადგენს მინიმუმ 0,01 თეთრს და მაქსიმუმ 0,47 თეთრს (1 თეთრზე ნაკლებს).

ცხრილი 24. მოსალოდნელი ნომინალური და დისკონტირებული ფისკალური ხარჯი ყველა პროექტისთვის, ყველა მსხვილი 10, 5 და 3 პროექტისთვის (საბაზისო სცენარი):

| წელი | ყველა პროექტი |          | TOP 10 |          | TOP 5  |          | TOP 3  |          |
|------|---------------|----------|--------|----------|--------|----------|--------|----------|
|      | ნომინ.        | დისკონტ. | ნომინ. | დისკონტ. | ნომინ. | დისკონტ. | ნომინ. | დისკონტ. |
|      |               |          |        |          |        |          |        |          |

|      |       |       |       |       |       |       |       |      |
|------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|------|
